აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№8 (25.136) 1 მარტი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, მთიან რაიონებში - 10-15 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 770 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება გაიზრდება

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარაში 25 წლამდე ასაკის შშმ პირთა მკურნალობა უფასო ხდება, გრძელდება უშვილობის პროგრამა, გაიზრდება 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების დაფინანსება - აღნიშნულ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ მთავრობის სხდომაზე ისაუბრა. თორნიკე რიჟვაძემ, ასევე, ყურადღება გაამახვილა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებზე. საუბარი შეეხო სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის მიმართულებების განვითარებას. მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, რეგიონის 5-ვე მუნიციპალიტეტში გაიზრდება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაც

- ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიზარდა ერთჯერადი მატერიალური დახმარება ომის შედეგად დაღუპული ოჯახებისთვის. შესაბამისად წელს მათ 5000-ლარიანი დახმარება გაეწევათ. აღსანიშნავია, რომ აგვისტოს ომის შედეგად დაღუპული გმირების ოჯახებსაც შესაბამისად გაეზარდათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება. რა თქმა უნდა, მომავალშიც გავაგრძელებთ ამ მიმართულებით მათ მხარდაჭერას. მოგეხსენებათ, წელს გაიზარდა უშვილობის პროგრამის ბიუჯეტი და სასიხარულოა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში წელს 16 ახალშობილი დაიბადა. მომავალშიც გვექნება ამ მიმართულებით არაერთი ცვლილება, სამასი ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე პირებს კი როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო და კერძო სკოლებში, ასევე სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულ პირებს უკვე შეუძლიათ, ისარგებლონ ამ პროგრამით. რა თქმა უნდა, პროგრამები რომლებიც განხორციელდა ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით, ქმნის საკმაოდ კარგ მოცემულობას, მაგრამ მინდა თამამად აღვნიშნო, რომ ჩვენ ამ მოცემულობაზე არ გავჩერდებით, გავაგრძელებთ კიდევ უფრო მეტი სიახლის შემოტანას. ასევე, ბიუჯეტის კორექტირებისას ვგეგმავთ იმ პირთა წრის გაზრდას, რომლებიც სარგებლობენ აჭარის ჯანდაცვის შესაბამისი პროგრამებით, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს სოციალური დაცვის მიმართულება. რაც შეეხება დაფინანსების ზრდას, ნაცვლად 18 წლისა, 25 წლამდე შშმ პირთათვის უფასო გახდება სრული სამედიცინო მომსახურება, რომელიც მათ ესაჭიროებათ. გაორმაგდება, გაიზრდება ძალადობის მსხვერპლთა და, მათი ოჯახების მხარდაჭერა. ასევე, იზრდება ახალშობილი ტყუპების ოჯახების დაფინანსებაც. ჩვენთვის, ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ჩვენს მცხოვრებს ჰქონდეს შესაძლებლობა, ჯანმრთელობის პრობლემის შემთხვევაში, უფასოდ მიიღოს სამედიცინო მომსახურება რეგიონში და ამ მიმართულებით მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ მუშაობას, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის თავმჯდომარის ინფორმაციით, აქტიურად იწყება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელება, რომლისთვისაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან 4 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

- თითოეულ სოფელში განხორციელდება ძალიან მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროექტები (პროგრამა 317 სოფელს მოიცავს). განხორციელდება როგორც სასმელი წყლის, ასევე სარწყავი სისტემების, საირიგაციო, სამელიორაციო და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სოფლის შიდა გზების და გარე განათების მოწესრიგება, ახალი სკვერები დაემატება სოფლებს. ასევე, დაგეგმილია ახალი წისქვილების მშენებლობა. ამ მიმართულებით აჭარის 5 მუნიციპალიტეტში დაიხარჯება 4 მლნ ლარზე მეტი. უკვე ვგეგმავთ საგაზაფხულო სამუშაოებს. წელსაც იმოქმედებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ხვნა-თესვის პროგრამა. აქტიურად ვიმუშავებთ ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების კუთხით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეგიონის თითოეულ მცხოვრებს, რომელსაც გააჩნია საკუთარი მეურნეობა, მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდეს სახელმწიფოსგან და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ის ზიანი, რომელიც ამ დარგში, მათ შორის, ფაროსანას და სხვა რისკებიდან გამომდინარე არსებობს. ამ მიმართულებითაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო იმუშავებს სხვა უწყებებთან კოორდინაციაში, - აღნიშნა მთავრობის თავმჯდომარემ.

სხდომაზე თორნიკე რიჟვაძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ტურიზმის მიმართულებაზე რეგიონში. მისი ინფორმაციით, წელს უპრეცედენტოა ტურიზმის დეპარტამენტის დაფინანსება, რომელიც 16 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს. რიჟვაძის ინფორმაციით, გაგრძელდება საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიები როგორც აჭარის, ასევე, განსაკუთრებით, ბათუმის ცნობადობის ამაღლების მიმართულებით.

- მოგეხსენებათ, რომ განხორციელდა 4 მლნ-ზე მეტი ვიზიტი, კონკრეტულად რომ ვთქვა, 4,3 მილიონი ვიზიტი დაფიქსირდა აჭარაში, შესაბამისად აღინიშნება 22%-იანი ზრდა ყველა მიმართულებით და, რა თქმა უნდა, ეს დადებითი ტენდენცია უნდა შევინარჩუნოთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გრძელდება აჭარის საერთაშორისო პოპულარიზაცია. იცით, რომ სულ რამდენიმე კვირის წინ ერთ-ერთმა რეპუტაციულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ისეთ მიმართულებებთან ერთად, როგორებიცაა მონაკო, მარბელა, ჟენევა და ასე შემდეგ, ბათუმი შეიყვანა ახალი ტურისტული მიმართულებების ევროპის ყველაზე პოპულარულ ხუთეულში, რაც, რა თქმა უნდა, გვაძლევს საკმაოდ დიდ ოპტიმიზმს რომ წელს წარმატებით ჩავატარებთ ტურისტულ სეზონს. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებითაც როგორც სამინისტროები, ისე ბათუმის მუნიციპალიტეტი გაატარებენ ტურისტული სეზონისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს, - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მასმედიის წარმომადგენლებისთვის კომენტარი გააკეთა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა. ჯაბა ფუტკარაძემ სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე ისაუბრა. მინისტრის ინფორმაციით, აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, სპეციალური ფონდიდან 4 მილიონ 200 000 ლარამდე თანხა იქნება მობილიზებული, რომლითაც აჭარის მასშტაბით დაახლოებით 317 სოფელი ისარგებლებს. მისივე ინფორმაციით, თითოეულ სოფელზე მინიმალური თანხა 10 000, ხოლო მაქსიმალური 20 000 ლარი გამოიყოფა. იმ შემთხვევაში, თუ მეტი თანხა იქნება კონკრეტული სოფლისთვის საჭირო, მუნიციპალიტეტები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დააფინანსებენ. მინისტრის განცხადებით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები არაერთ მიმართულებას შეეხება, რაც ადგილობრივი მოსახლეობის უშუალო მონაწილეობით შეირჩევა.

თორნიკე რიჟვაძე ბულგარეთის ელჩს შეხვდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ბულგარეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ვესელინ ვალკანოვს შეხვდა. ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს

თორნიკე რიჟვაძემ ბულგარეთის მთავრობას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრაზე განიხილეს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. ბულგარეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. ქვეყნები აქტიურად თანამშრომლობენ ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და ტურიზმის მიმართულებებით.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორი ქვეყნის ნაყოფიერ ურთიერთობას სხვადასხვა სფეროში. განსაკუთრებით აღინიშნა შავი ზღვის პოტენციალის გამოყენების მნიშვნელობა და ამ პროცესში რეგიონული თანამშრომლობის აუცილებლობა.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

რამდენად მისაღებია ქართველი პოლიტიკოსებისთვის ენტონი ბლინკენის „გენდერულად ნეიტრალური ენა“?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

26 თებერვალს საზოგადოებრივმა მოძრაობა „ხალხის ძალამ“ განცხადება გაავრცელა

მისი წევრების აღშფოთება გამოიწვია აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულმა დოკუმენტმა, რომლითაც ამ ქვეყნის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი თანამშრომლებს ურჩევს, შეძლებისდაგვარად მოერიდონ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა - „მამა“, „დედა“, „ქალიშვილი“, „ვაჟი“, „ცოლი“, „ქმარი“, „ქალბატონებო და ბატონებო“ და მათ ნაცვლად გამოიყენონ ტერმინები „მშობელი“, „პარტნიორი“ და „შვილი“. ბლინკენმა თანამშრომლებს მოუწოდა, გამოიყენონ „გენდერულად ნეიტრალური ენა,“ რათა გამოავლინონ პატივისცემა და თავიდან აიცილონ გაუგებრობები“. ამერიკელი მთავარი დიპლომატის რწმენით, ამ სიახლის მიზანია „პატივისცემისა და კეთილგანწყობის გამოვლენა“ იმ პირების მიმართ, რომელთა ამჟამინდელი გენდერული იდენტობა განსხვავდება დაბადების დროს მიკუთვნებული ბიოლოგიური სქესისაგან.

„ხალხის ძალა“ უკმაყოფილებას გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების მისამართით და ღიად ამბობს, რომ მიუხედავად 15-წლიანი სტრატეგიული პარტნიორობისა, ამ ქვეყანასთან მაინც დღემდე არ გვაქვს არც თავისუფალი ვაჭრობა, არც პირდაპირი ფრენები და არც უვიზო მიმოსვლა.

„წლების მანძილზე, თვალში ნაცარს ვიყრიდით და მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს ვუწოდებდით სახელმწიფოს, საიდანაც, უკვე 30 წელია, ინვესტიციები თითქმის არ შემოდის; რომელიც უკვე არაერთი წელია მისალოც წერილებსაც კი სახელმწიფო მდივნის თანაშემწის დონეზე გვიგზავნის; რომელმაც ქართულ ეკონომიკაში ფული მხოლოდ 2009 წელს ჩაასხა, როცა ერთიანი ნაციონალური აგენტოკრატია ჰქონდა გადასარჩენი; რომლის ე.წ. დახმარების 90 პროცენტი იმ ენჯეოებზე და, ფიქტიური ენჯეოების გავლით, პარტიებზე მოდის, რომლებიც საქართველოში

ე.წ. პოლარიზაციის გაღვივების, სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლის, აგენტოკრატიის აღდგენისა და ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის გავრცელების მცდელობით არიან დაკავებული“, - აცხადებენ საზოგადოებრივ მოძრაობაში.

„ხალხის ძალა“ განცხადებაში ფსევდოლიბერალიზმსა და ლგბტ-პროპაგანდას განიხილავს.

„უკვე საკმაოდ დიდი ხანია, ფსევდოლიბერალური იდეოლოგია და ლგბტ-პროპაგანდა საერთაშორისო მასშტაბით ძალას იკრებს და ახალ სიმაღლეებს იპყრობს. ყველაზე მძიმე ისაა, რომ ფსევდოლიბერალური პროპაგანდის მთავარ წყაროდ უმაღლესი საფეხურის ოფიციალური დასავლური სტრუქტურებია ქცეული. ამ ყველაფერში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დემონსტრაციული ჩართვა უკვე ყველა კითხვის ნიშანს ხსნის იმის შესახებ, თუ საიდან და ვის მიერ იმართება ეს პროცესები“, - ვკითხულობთ განცხადებაში.

მოძრაობის წარმომადგენლები პოტენციურ საფრთხედ რადიკალურ ოპოზიციას და იგივე მიზნების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებს მიიჩნევენ.

„ხალხის ძალა“ აცხადებს, რომ უნდა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ „რამდენად გვიღირს სტრატეგიული პარტნიორობა იმ სახელმწიფოსთან, რომელიც საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ფასეულობების შერყევით, რევოლუციის მოწყობის გამუდმებული მცდელობითა და ლგბტ-პროპაგანდის თავს მოხვევით არის დაკავებული“.

აღნიშნულ განცხადებას პოლიტიკური სპექტრი სხვადასხვაგვარად აფასებს. ოპოზიცია „ქართული ოცნების“ ყოფილ წევრებს აკრიტიკებს და ანტიდასავლურ რიტორიკაში ადანაშაულებს. ისინი ფიქრობენ, რომ ეს განცხადება შეიცავს რუსულ ნარატივს.

„ამერიკის შეერთებულ შტატებზე რომ ამბობ, საქართველოსთვის ცუდი უნდაო, ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლომდე არ გაქვს გააზრებული საქართველოს სტრატეგიული ინტერესი. აშშ არის არაღიარების პოლიტიკის გამტარებელი მსოფლიოში და მათ შორის საქართველოს სუვერენიტეტის დამცველი. ეს განცხადება სინამდვილეში იმას ემსახურება, რომ ჩვენ მტრის და მოყვრის ერთმანეთისგან განსხვავება ვერ შევძლოთ“, - აღნიშნა „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრმა პაატა მანჯგალაძემ. ხოლო ოპოზიციონერმა დეპუტატმა, პარლამენტის წევრმა თეონა აქუბარდიამ ამ განცხადებას ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორებზე თავდასხმა უწოდა.

„ეს არის გაუღენთილი ანტიდასავლური პროპაგანდით და თავდასხმაა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებზე, რაც მხოლოდ კრემლის ინტერესებში შედის და ყველა ის ნარატივი, რომელსაც მათი განცხადება შეიცავს, აბსოლუტურად, საქართველოსა და ევროკავშირის ღირებულებების წინააღმდეგ იერიშია“, - აცხადებს აქუბარდია.

აღნიშნულ განცხადებას გამოეხმაურა პარტია „საქართველოსთვის“ წევრი მიხეილ დაუშვილი.

„ჩვენთვის, ქართველებისთვის, დედა დედა იქნება და მამა - მამა. მანდ კითხვა არ შეიძლება არსებობდეს. შეერთებული შტატები არის ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი. „ხალხის ძალა“ ამას რატომ აკეთებს, ეს ცალკე საკითხია. მათი ამოცანა იყო და არის, რომ ჩვენი მთავარი სტრატეგიული მოკავშირე და პარტნიორები, უბრალოდ, ლანძღონ და ბევრი პროპაგანდისტული ტყუილი თუ მესიჯი გაავრცელონ,“ - აღნიშნა მან. პარტიის „გირჩი - მეტი თავისუფლება“ ლიდერი იაგო ხვიჩია ამბობს, რომ ბლინკენმა არა - ქართველებს, არამედ თავის თანამშრომლებს მოუწოდა.

„ბატონმა ბლინკენმა, მგონი, ქართველებს კი არ მოუწოდა ეს, არამედ თანამშრომლებს და ჩვენი თანამემამულე თუ არის ბლინკენის თანამშრომელი, ვფიქრობ, ამით ქართველებს არ გვემუქრება გარკვეული ტიპის საფრთხე. ძალიან გული მწყდება, რომ ამერიკის ადმინისტრაცია საფუძველს აძლევს „ხალხის ძალას“ თუ სხვა ანტიამერიკულ ძალებს საქართველოში, რომ ამერიკულ იდეალს (რომელიც სულ სხვა რამ არის - საკუთრების უფლების დაცვა, თავისუფალი სასამართლო, გამოხატვის თავისუფლება) რაღაც თვალსაზრისით ჩირქი მოსცხოს. ეს მგონია მთავარი პრობლემა და სწორედ ამიტომ ვარ ამ ადმინისტრაციის კრიტიკოსი. რასაკვირველია, დედა დედაა, მამა - მამა, ბიჭი - ბიჭი, გოგო - გოგო,“ - აღნიშნა იაგო ხვიჩიამ.

მმართველ გუნდში სრულად იზიარებენ „ხალხის ძალის“ პოზიციას. პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის თქმით, ყველა ქვეყანა თავად წყვეტს, როგორი ენობრივი წესები ექნება.

იხ. მე-3 გვ.

ქრონიკა

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე ციტრუსის საკოორდინაციო შტაბის თანამშრომლებს და ციტრუსის მიმღებ-დამხარისხებელი საწარმოების ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრაზე მინისტრმა 2023-2024 წლის ციტრუსის სეზონის შედეგები შეაჯამა და მანდარინის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ ისაუბრა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 2023-2024 წლის ციტრუსის სეზონზე საექსპორტო მანდარინს 20-ზე მეტი ციტრუსის მიმღებ-დამხარისხებელი საწარმო იღებდა, ასევე, სეზონზე მოქმედებდა საკოორდინაციო შტაბი, რომელიც 24-საათიან რეჟიმში ჩართული იყო ციტრუსის რეალიზაციის და ლოჯისტიკური საკითხების მოგვარებაში.

* * *

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა მუსხელიშვილის ქუჩის მცხოვრებლებთან შეხვედრა გამართა, რომელზეც მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა. არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, მუსხელიშვილის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა იწყება. გარდა ამისა, მოეწყობა სკვერი და სპორტული მოედანი, პროექტის ღირებულება კი 5 მილიონ 500 ათასი ლარია. მისივე თქმით, უკვე დაიწყო მუსხელიშვილის ქუჩისა და ჩიხების რეაბილიტაცია, რომელიც ათეული წლის განმავლობაში იყო მოუწესრიგებელი. მუსხელიშვილის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე და განათების სისტემების, ასევე, ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობა. სამუშაოების ღირებულება 9 მილიონ ლარს აღემატება. მოსახლეობასთან შეხვედრისას ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანთან ერთად, ბათუმის მაჟორიტარი, პარლამენტის წევრი რესან კონცელიძე და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ვიცე-სპიკერი ტიტე აროშიძე იმყოფებოდნენ.

* * *

ამ ეტაპზე შარვაშიძის ქუჩაზე მიმდინარეობს ასფალტის საფარის დაგების წინამოსამზადებელი სამუშაოები. ინფორმაციას ბათუმის მერია ავრცელებს. უწყების ცნობით, სამების პირველი ჩიხის №5-ში სკვერის მშენებლობა უკვე დასრულების ეტაპზეა, ხოლო ხახულის მეორე შესახვევის №67-ში - მიმდინარეობს. ატრაქციონები ეწყობა ფრიდონ ხალვაშის ქ. №320-ში, ვალენბერგის ქ. №4-სა და თამარ მეფის გამზირის №№54-ში. ტროტუარის ფილების შეკეთება მიმდინარეობს ცენტრალურ პარკში, კონსტანტინე გამსახურდიასა და ჭავჭავაძის ქუჩებზე. „ტაბიძის ქ. №35-ში მდებარე სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია-აღდგენა გრძელდება. რეაბილიტაციის ფარგლებში, მოეწყობა ლითონის ახალი მავთულბადეები, განთავსდება ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნისთვის საჭირო ინვენტარი. ლორიას ქ. №6-ში სახურავის მოწყობა მიმდინარეობს, ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარედ საბაღე სკამების შეკეთება. სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია მიმდინარეობს კოხტაგორის ქ. №22-ში. სანიაღვრე ჭებისა და ცხაურების გაწმენდითი სამუშაოები სრულდება რუსთაველის, ნინოშვილის, შარტავას, ფიროსმანის, აბუსერისძის, ტაბიძის, ფაღავას, მ. კომახიძის, წერეთლისა და ჯავახიშვილის ქუჩებზე. სკვერებში, პარკებში, მწვანე სივრცეებსა და მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოებში ხე-მცენარეების გასხვლა გრძელდება. სამუშაოები უკვე დასრულდა ჯავახიშვილის ქუჩაზე“, - ნათქვამია მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში სამუშაო თათბირი გაიმართა, რომელსაც მერი ვახტანგ ბერიძე უძღვებოდა. მოწვეული იყვნენ მერიის სამსახურების უფროსები, განყოფილებების გამგეები, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, სპეციალისტები. ისაუბრეს მუნიციპალიტეტში განვითარებული მეწყრული პროცესებით გამოწვეულ პრობლემებზე, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის პროექტებისა და პროგრამების დროულ და ხარისხიან შესრულებაზე. სამუშაო შეხვედრაზე შეაჯამეს მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები. უკვე ყველა ლოკაციაზე იმყოფებოდნენ გეოლოგები, რომელთა დასკვნის საფუძველზეც, დროულად გატარდება საჭირო ღონისძიებები. ითქვა, რომ 2024 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები გაწერილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ნაწილზე ტენდერია გამოცხადებული და უახლოეს მომავალში დაიწყება სამუშაოები, ნაწილზე კი მალე გამოცხადდება და წლის განმავლობაში სამუშაოები ეტაპობრივად გაგრძელდება. ხელოვნების მუზეუმში, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, საინფორმაციო საათი ხელოვნის, ომისშემდგომი თაობის პარიზული ავანგარდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ვერა ფაღავას შემოქმედებას დაეთმო. ვერა ფაღავა 1907 წლის 27 თებერვალს თბილისში დაიბადა, 1923 წლიდან კი მოღვაწეობა საფრანგეთში გააგრძელა. 1932-1939 წლებში სწავლობდა პარიზის ერთ-ერთ პრესტიჟულ სამხატვრო სასწავლებელში - რანსონის აკადემიაში. მუზეუმის გიდმა ირა სტურუამ დამსწრე საზოგადოებას მხატვრის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან საინტერესო ფაქტები გააცნო, ყურადღება გაამახვილა მუზეუმში დაცულ გრაფიკულ სურათზე „პეიზაჟი“. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გაიმართა ინტელექტუალური თამაში „ლაბირინთი“.

* * *

დასასვენებელი სივრცე ძველ ბულვარში, კოლონადის მიმდებარედ, 2 000 კვმ ფართობზე მოეწყო. ინფორმაციას ბათუმის ბულვარი ავრცელებს. პროექტის ფარგლებში, განთავსდა საბაღე ინფრასტრუქტურა, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, ბორდიურები, დეკორატიული ქვიშის ორნამენტული საფარი და დამონტაჟდა გარე განათების სისტემა. კაპიტალური რეკონსტრუქცია ჩაუტარდა უკრაინელი საზოგადო მოღვაწეების ბიუსტებს, მარმარილოს ქვით მოპირკეთდა პიედესტალები. სკვერის ტერიტორია ახალი მწვანე ნარგავებით შეივსო.

* * *

წელს პირველად, აჭარის ტურისტულ შესაძლებლობებს ინდოეთის ტურისტულ გამოფენაზე „შატტე 2024“ გაეცნენ. რეგიონის და ზოგადად, საქართველოს, როგორც მრავალფეროვანი და ინდოეთისთვის ახალი ტურისტული მიმართულების პოპულარიზაციას, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ტურისტულ კომპანიებთან ერთად ახორციელებს. გამოფენის ფარგლებში მნიშვნელოვანი შეხვედრები გაიმართა ინდოეთის ტურიზმის სამინისტროს, მსხვილი ტურისტული ასოციაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან. ინდოეთის ტურიზმის სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და ინდოეთის ტურიზმის გაერთიანებულ მდივანთან შეხვედრისას, მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. გამოფენაზე 50 ქვეყნის 1500-ზე მეტი ტურისტული კომპანია, სახელმწიფო ორგანიზაცია და ტურისტული ბიზნესი იყო წარმოდგენილი.

* * *

სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერის საფუძველზე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი 1 ერთეული ახალი სამგზავრო ავტობუსი შეიძინა. იგი 47 მგზავრზეა გათვლილი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. საზოგადოებრივი ტრანსპორტი გარკვეულად გაუმჯობესებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებას.

* * *

გრიგოლ ჩაბრაძემ „დინამო“ ბათუმი დატოვა და კარიერას ირანის „ზობაჰანში“ გააგრძელებს. ის ირანულ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. ინფორმაცია კლუბმა დაადასტურა. ჩაბრაძე „საბურთალოს“ აღზრდილია და თბილისურ გუნდში 2013-2019 წლებში თამაშობდა. 2020 წელს იჯარით „თელავში“ გადავიდა, 2021 წლის იანვარში კი ბათუმის „დინამოში“. იყო საქართველოს 17, 19 და 21-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების წევრი. ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში პირველად 2021 წლის 25 მარტს.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

თენგიზ აფხაზავა: რეზო ხარაზი ყველა ჯერზე იტყუება

ხატია იაშვილი 555 18 48 88

26 თებერვალს ბათუმის საკრებულოს სხდომა გაიმართა, რომელზეც დამტკიცდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2023-2026 წწ) 2024 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია სტრატეგიულ ნაწილში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ბათუმის მერიის მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები, პროგრამები და პროექტები

საკრებულომ მიიღო დადგენილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკონტეინერო მოსაკრებლის შემოღების შესახებ, რომლის შესაბამისად, მოსაკრებლის განაკვეთი 1 კონტეინერისთვის განისაზღვრა 30 ლარის ოდენობით. აღნიშნული ადგილობრივი მოსაკრებლის გადამხდელია საქონლის გადამზიდავი, რომლის საკუთრებაში ან სარგებლობაში არის საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საზღვაო ნავსადგურში შემოტანილი ან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საზღვაო ნავსადგურიდან გასატანი საქონლით დატვირთული კონტეინერი. საკონტეინერო მოსაკრებლის გადახდის წესი, პერიოდულობა და ვადა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, დადგინდა სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, რაც დიფერენცირებულია ქ. ბათუმის ზონირების საფუძველზე, შესაბამისი ზონების (ქვეზონების) მიხედვით.

ცვლილება შევიდა „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და აუქციონის პირობებისა და ჩატარების პროცედურის დადგენის შესახებ“ განკარგულებაში, რომლის თანახმად, ელექტრონულპირობებიანი აუქციონის პირობებისა და ჩატარების პროცედურა ახალი რედაქციით დადგინდა.

დამტკიცდა განკარგულების პროექტი კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის №g-15. 15232724 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ.

მიიღეს გადაწყვეტილება ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №76 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ცვლილება ეხება შპს „ბათუმი რივიერა" - სილქ თაუერსის პროექტს და ითვალისწინებს კონკრეტულ ტერიტორიაზე 5 მაღალსართულიანი კოშკის ნაცვლად 3 შენობის მშენებლობას, რაც არქიტექტურულ კომპოზიციას უფრო მსუბუქს გახდის, შენობების კონფიგურაციის ცვლილება გააგრძელებს ქალაქის ურბანულ ქსელს.

საკრებულომ დაამტკიცა განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციები კახაბრის ქ. №36-ში, ასევე, გაგარინისა და გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩებზე (კონკრეტულ საკადასტრო კოდებზე) მდებარე მიწის ნაკვეთებზე, ასევე - დადგენილება კახაბრის ქ. №48-ში, ხახულის ქ. №50-სა და ურეხის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ.

იმავე დღეს მიიღეს დადგენილება „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რაც გულისხმობს ზოგადი ზონირების რუკის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებასა და მის განსაზღვრას კოდექსისა და კონკრეტული ზონირების რუკის შესაბამისად.

ცვლილება შევიდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №25 განკარგულებაში, რომლის შესაბამისად დაც აღნიშნული განკარგულების დანართის სახით დამტკიცდა კონკრეტული ზონირების რუკა და მართვის რეგლამენტი.

სხდომაზე ბათუმის საკრებულოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა რეზო ხარაზმა განაცხადა, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ბათუმში, მიმდინარე წლის იანვრის მდგომარეობით, 41 908 მოქალაქე სოციალური დახმარების პროგრამაშია. მისივე თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

- „ქართული ოცნების“ 11-წლიანი მმართველობა განსაკუთრებით მძიმედ აისახება ჩვენს ქალაქზე. მე დღეს წამოვიღე სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2024 წლის იანვარში გამოქვეყნებული სტატისტიკა: დღეს ჩვენს ქალაქში 11 977 ოჯახი არის რეგისტრირებული, უფრო კონკრეტულად გეტყვით, რომ 41 908 მოქალაქეა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში. ეს ნიშნავს, რომ ივანიშვილის „ქართული ოცნების“ პირობებში ჩვენი მოქალაქეებისათვის კიდევ უფრო მძიმე გახდა ცხოვრება. ამას ემატება ემიგრაციაში გადახვეწილი ჩვენი ახალგაზრდები და აქ დარჩენილი მოქალაქეები, რომლებიც ვერ პოულობენ სამსახურს. ჩვენი გუნდის მთავარი მიზანია, კვლავ დავუბრუნოთ ბათუმს ის განვითარება, რაც 2004-2012 წლებში გვქონდა. ეს ყველაზე კარგად მიშა საკაშვილს და მის გუნდს - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შეუძლია. ჩვენ ერთხელ ეს შევძელით. 2024 წლის 26 ოქტომბერს, ხელისუფლების ცვლილების საკითხთან ერთად, ჩვენ ვმუშაობთ კონკრეტულ პროექტებსა და პროგრამებზე, კონკრეტულ რეალურ ინვესტიციებზე, რომლითაც შევქმნით მაღალანაზღაურებად სამსახურებს“, - განაცხადა რეზო ხარაზმა.

რეზო ხარაზის განცხადებას ბათუმის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატი თენგიზ აფხაზავა გამოეხმაურა. ჩვენთან საუბარში მან აღნიშნა, რომ ენმ-ის წევრი იტყუება. „ძალიან არ მიყვარს ამ სიტყვის გამოყენება, მაგრამ მიწევს, ბატონი რეზო ყველა ჯერზე იტყუება. დასადასტურებლად გეტყვით, ცოტა ხნით ადრე მან გააკეთა განცხადება, რომ ქალაქ ბათუმში არის 140 ათასი სოციალურად დაუცველი ადამიანი, დღეს აღნიშნა რომ 41 ათასია, ანუ 100 ათასი უკვე მოაკლო. მინდა გითხრათ, რომ ესეც არ არის სწორი ციფრი. ბათუმში სოციალურ შემწეობას, დაახლოებით, 22 ათასამდე ბენეფიციარი იღებს. ამ ადამიანთა 40-50 პროცენტი, სამწუხაროდ, არიან ის პირები, რომლებიც არ გამოირჩევიან მაღალი მოქალაქეობრივი დამოკიდებულებით ქვეყნის, რეგიონის და ქალაქის წინაშე. ისინი მალავენ საკუთარ შემოსავლებს, აქვთ სხვა სამუშაო ადგილები, რასაც არ აფიქსირებენ. ეს რომ დაფიქსირდეს, მაჩვენებელი გაცილებით დაბალი გვექნება, ამიტომ, რასაც ბატონი რეზო აცხადებს, არის ტყუილი და პოპულისტური გამოსვლა. ის ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს ბათუმის მოსახლეობა“, - გვითხრა თენგიზ აფხაზავამ.

თენგიზ აფხაზავა, ასევე, გამოეხმაურა ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პარტია „საქართველოსათვის“ წევრის განცხადებას. კერძოდ, აკაკი გვიანიძემ სხდომაზე აღნიშნა, რომ მათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გაცნობისთვის ჰქონდათ ორი დღე, ისიც შაბათი და კვირა იყო, რა დროსაც არცერთი საჯარო მოხელე სამსახურში არ იმყოფება.

„რაც შეეხება საკრებულოში დღის წესრიგის საკითხების გაცნობას, მათ ჰქონდათ ამისთვის დრო, კომისიის შემდეგ 2-3 დღე იყო, რომ გაცნობოდენ საკითხებს. დღეს დამტკიცებული საკითხები, მით უმეტეს, რომლებიც ეხება განაშენიანების გეგმას, დეტალურადაა დოკუმენტებში ასახული. საბუთს რომ დახედავ, ზუსტად ჩანს, რა ადგილას შენდება ესა თუ ის ობიექტი, რა განაშენიანებაა ირგვლივ, როგორი ნარგავები იქნება, რამდენ მანქანაზეა გათვლილი პარკინგი, საზოგადოებრივი სივრცე როგორ ეწყობა. მოკლედ, აბსოლუტურად ყველა ის დეტალი, რომელსაც კანონი ითვალისწინებს, „ხელისგულზე დევს“. კაცს თუ არ უნდა დაჯდომა და წაკითხვა, ეს სხვა პრობლემაა, ისინი პატარა ბავშვებივით მიზეზობენ, მეტი არაფერი“, - აღნიშნა თენგიზ აფხაზავამ.

რამდენად მისაღებია ქართველი პოლიტიკოსებისთვის ენტონი ბლინკენის „გენდერულად ნეიტრალური ენა“?

მე-2 გვერდიდან

„გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ბევრი დრო არ სჭირდება ხოლმე ასეთი მიდგომების პროპაგანდის დაწყებას საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციის თუ დაფინანსების გამოყენებით, ამიტომ, თავისთავად, მოსალოდნელია, რომ საქართველოშიც ცოტა ხანში გამოჩნდებიან აქტივისტები, რომლებიც გვეტყვიან, რომ ქართლის დედას აღარ უნდა ერქვას ქართლის დედა, დედაენას - დედაენა და დედამიწას - დედამიწა. მნიშვნელოვანია, ჩვენ ჩამოვყალიბდეთ ამასთან დაკავშირებით და არ დავუშვათ ის, რომ ჩვენს ენობრივ წესებში მოხდეს ჩარევა თავსმოხვეული, ვითომდა, ღირებულებების დროშით“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი საზოგადოებრივი მოძრაობის „ხალხის ძალა“ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებას ასე გამოეხმაურა:

„ადამიანის უფლებების საუკეთესო ინტერესების დაცვის საბურველქვეშ, ნელ-ნელა გვეკრძალება ის, რაც კაცობრიობის გაჩენიდან დღემდე იყო აბსოლუტურად ჩვეულებრივი - მშობელს, ქალბატონს რქმეოდა დედა და კაცს - მამა. არ მიმაჩნია გამართლებულად, რომ ამ ფსევდოპროპაგანდას, რაც გინდათ, ის დაარქვით, რაიმე გასაქანი უნდა მიეცეს საქართველოში“, - განაცხადა ქადაგიშვილმა.

„ხალხის ძალის“ წევრები“ ამბობენ, რომ ამ განცხადების მთავარი მიზანია, ხალხმა იცოდეს სიმართლე მიმდინარე პროცესების შესახებ, რადგან სახელმწიფო ინტერესებისა და ეროვნული ფასეულობების ეფექტიანად დაცვა მხოლოდ სიმართლით აღჭურვილი ხალხის ძალას შეუძლია.

როგორ აფასებენ „ხალხის ძალის“ განცხადებას ბათუმელი პოლიტიკოსები? გთავაზობთ მოსაზრებებს:

ნინო ცხვარაძე, ბათუმის საკრებულოს წევრი, „ხალხის ძალა“:

- თავის დროზე, როცა „ქართული ოცნება“ რამდენიმე ადამიანმა დატოვა, ეს ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ მიზანს - ხალხისთვის ეთქვათ სიმართლე! დიახ, „ხალხის ძალამ“ არაერთი სიმართლე თქვა, ვისთვის - მწარე, თუმცა გაბედა და თქვა! გამონაკლისი არც „ხალხის ძალის“ დღევანდელი განცხადებაა და საღად მოაზროვნე საზოგადოებამ განგაშის ზარიც უნდა შემოჰკრას! რას ფიქრობთ, დედას დედა არ უნდა დავუძახოთ თუ მამას - მამა?! ან ცოლი რომ ცოლია და ქმარი - ქმარი, ესეც მიუღებელი უნდა იყოს ჩვენთვის? იქნებ ძუძუთი კვება უნდა ჩავანაცვლოთ მკერდით კვებით? ან დედის რძე სასარგებლო როდის მერე აღარაა? მე მასწავლეს, რომ ქალი ქალია და კაცი - კაცი, დედა დედაა და მამა - მამა, რომ პატივი უნდა ვცე ჩვენს წინაპრებს, ტრადიციებს. ამას ვასწავლი შვილებსაც. მე ვამაყობ ჩვენი იდენტობით, ქართველობით, ვამაყობ იმით, რომ შვილები დედას მეძახიან, ჩემს ქმარს ქმარს ვეძახი და შვილები მამას მამას ეძახიან.

ვამაყობ, რომ „ხალხის ძალას“ წარმოვადგენ და მომავალშიც ვიამაყებთ ჩვენი ქართველობით! ვისაც სხვის დაკრულზე ცეკვა მოგწონთ, ვისაც საკუთარი არაფერი გაქვთ, ვინც ქართულ ტრადიციას, წარსულს, წინაპრებს პატივს არ სცემთ, შეგერგოთ დედის რძესავით, მაგრამ დედის რძეს, როცა „იქ“ არ აღიარებენ, აღიარებთ კი თქვენ აქ?

ირაკლი თავდგირიძე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

- გავეცანი „ხალხის ძალის“ განცხადებას აშშ-ისა და ევროპის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ზოგადად, ყოველი კანონი თუ სახელმწიფო ლიდერის გადაწყვეტილებები გამომდინარეობს ხალხის ისტორიული წარსულიდან, მათი შეხედულებებიდან და კულტურიდან. ის, რაც კარგად მუშაობს საქართველოში, შესაძლოა, არ მუშაობდეს კარგად ევროპაში და პირიქით. ამდენად, მიმაჩნია, რომ თავის შეკავება ისეთი სიტყვების გამოყენებისგან, როგორებიცაა „დედა“ და „მამა“ მარაზმატიკულ ხასიათს ატარებს, თუმცა ეს იმ ერის არჩევანია, რომლის ხელისუფლებაც ამისკენ მიუთითებს. არა მგონია, ქართული საზოგადოების წინაშე მსგავსი პრობლემა უახლოეს ასწლეულში დადგეს. აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი პოლიტიკური ძალა იქნება ხელისუფლებაში, ნებისმიერ გადაწყვეტილება უნდა იღებდეს საქართველოს სახელმწიფოს სახელით ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც ეს დღეს ხდება.

ვაჟა დარჩია, პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“:

- მთლიანად რუსული პროპაგანდის მესიჯბოქსებია, „ხალხის ძალა“ აგრძელებს დასავლეთის დისკრედიტაციას და რუსული პროპაგანდისტული ენით ცდილობს საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას. ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა ამ ქვეყნის მომავალს სწორედ დასავლეთთან ერთად ხედავს და როგორც უნდა ეცადნონ სუბარები და ყაველაშვილები, ამ ადამიანების რიცხვი მხოლოდ გაიზრდება. რუსების განცხადებაზე ამაზე მეტ კომენტარს ნამდვილად ვერ გავაკეთებ.

ნიკა ჭაშიბაძე, პარტია „ერთიანი ნაციონალურო მოძრაობის“ ბათუმის ორგანიზაციის წევრი:

- საზოგადოებამ მკაფიოდ უნდა გააცნობიეროს, რომ მსგავსი მარგინალური ჯგუფები დეზინფორმაციითა და დაუფარავი სიცრუით ცდილობენ საზოგადოებაში ჩვენი დასავლელი პარტიორების დისკრედიტაციას, რაც სხვა არაფერია, თუ არა ანტისახელმწიფოებრივი ქმედება. საქართველოს მოსახლეობის 80% -ზე მეტს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული, სად და როგორ უნდა იყოს მისი ქვეყანა, რაც უთუოდ გულისხმობს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ქართული საზოგადოება იაზრებს იმასაც, რომ თანამედროვე და ძლიერი საქართველო უპირობოდ უნდა იყოს დაფუძნებული დემოკრატიის მთავარ ფასეულობაზე, ეს კი ადამიანი და მისი თავისუფლებაა.

ბექა დიასამიძე, „სტრადეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ლიდერი:

- პირველ რიგში, ქართული ენა საფრთხის წინაშე ნამდვილად არ არის. როგორც აშშ-ის ელჩმა ახსენა, ქართულ ენაში არც მდედრობითი და არც მამრობითი ნაცვალსახელები არ გამოიყენება. მეორე, ვინც ამერიკაში ნამყოფები ხართ, გეცოდინებათ, რომ იქ ძალიან ტრადიციული და მყარი ოჯახები ჰყავთ, და მესამე, თვითონ მიხედავს საკუთარ თავს აშშ-იცა და ბრიტანეთიც. ჩვენ მივხედოთ საქართველოს და მის მოქალაქეებს, იმაზე ვილაპარკოთ, ხალხი რომ გარბის ამ ქვეყნიდან და უმუშევრობა რომ მაღალ ნიშნულზეა. აქედან გამომდინარე, ზედმეტად მიმაჩნია კომენტარის გაკეთება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შიდა მემორანდუმზე. მე თუ მეკითხებით, არ ინერვიულოთ, ცოლიც მყავს, შვილებიც და ეროვნული, ჯანსაღი ტრადიციების მხარდამჭერიც ვარ.

ნინო ცხვარაძე: ურთულეს პერიოდში „ხალხის ძალამ“ გაბედა და არაერთი მწარე სიმართლე თქვა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

2024 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე არცთუ ისე დიდი დრო რჩება და, შესაბამისად, ქვეყანაში პოლიტიკური ციებ-ცხელებაც დაწყებულია. იქმნება ახალი პოლიტიკური გაერთიანებები და მწვავე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ ოპონენტები ერთმანეთს. ბუნებრივია, წინასაარჩევნო მესიჯებსაც გზავნიან

იმაზე, რომ 2024 წელი პოლიტიკურად დატვირთული და აქტიური იქნება, არავინ დავობს, თუმცა, რას გადაწყვეტს ქართველი ამომრჩეველი, არავინ იცის. ერთი რამ ცხადია, ამ პოლიტიკურ ორომტრიალში ოპოზიციური სპექტრი ცდილობს „მესამე ძალად“ თავის წარმოჩენას, მმართველ გუნდში კი გამარჯვების გარდაუვალობაზე საუბრობენ. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასება ბათუმის საკრებულოს წევრს, „ხალხის ძალის“ წარმომადგენელ ***ნინო ცხვარაძეს*** *ვთხოვეთ.*

- ქალბატონო ნინო, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს?

- ჯერ შარშანდელი წლის შეფასებით დავიწყოთ, რადგან არაჯანსაღი ძალების მცდელობის მიუხედავად, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა. სამწუხაროდ, ქართული ოპოზიციური სპექტრი მთელი წლის განმავლობაში ცდილობდა, ჩვენი ქვეყნის მეგობარი თუ პარტნიორი ქვეყნები დაერწმუნებინა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში კანდიდატის სტატუსი არ მოენიჭებინათ. რბილად რომ ვთქვათ, ასეთი მიდგომა, არაჯანსაღი პოლიტიკური ამბიციები მავნებლობაა და სხვა არაფერი, თუმცა ხელისუფლების გონივრული, სწორი პოლიტიკის შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ და საქართველო სწორი მიმართულებით განაგრძობს სვლას. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ყველაფერში უდიდესი წვლილი „ხალხის ძალასაც“ მიუძღვის, რადგან სწორედ ეს ძალა არ შეშინდა და მოსახლეობას მხოლოდ სწორი ინფორმაცია მიაწოდა. დიახ, საქართველოს თითს უქნევდნენ, უნდოდათ, თავის ჭკუაზე და თავიანთი დაწერილი სცენარით ემართათ, მაგრამ „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“. „ხალხის ძალამ“ ურთულეს პერიოდში გაბედა და არაერთი მწარე სიმართლე თქვა. ვისთვის მისაღები

იყო ეს სიმართლე, ვისთვის - არა. ყველაზე რთული იმის თქმა იყო, რომ გარე ძალები, საქართველოს შინაურ მტრებთან ერთად, ჩვენი ქვეყნის ომში ჩართვას ცდილობდნენ. თავის დროზე საზოგადოებამ შესაძლოა, ეს ბოლომდე არ დაიჯერა, თუმცა შემდეგ ყველა დარწმუნდა სიმართლეში. სწორედ „ხალხის ძალამ“, ხელისუფლებასთან ერთად, აიძულა ყველა, მივეღეთ ისეთი, როგორიც ვართ და არა ისეთი, როგორიც მათ სურდათ ვყოფილიყავით. ისე, როცა ხელისუფლების მისამართით ვაკეთებ განცხადებებს, ჩემი ოპონენტები მეუბნებიან, რომ ვერ გამირკვევია, სად ვარ. ნუ ინერვიულებენ, რადგან ზუსტად ვიცი, სადაც ვარ. არასდროს მითქვამს, რომ უმრავლესობიდან წავედი, ან ოპოზიციას წარმოვადგენ. მოსწონთ თუ არა, ეს მათი პრობლემაა, მაგრამ ფაქტია, „ხალხის ძალა“ არის ხელისუფლებაში და ყოველთვის იდგება ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე. ჩვენთან არიან ადამიანები სუფთა წარსულით, რომლებსაც არაფერი აკავშირებთ სისხლიან რეჟიმთან.

- 2024 საარჩევნო წელია. ფაქტობრივად, წინასაარჩევნო მარათონიც დაწყებულია. რას ელოდებით ოქტომბრის არჩევნებისგან?

- შემოდგომა იქნება ცხელი. ამასთან, ნურავინ გააკეთებს ნაჩქარევ შეფასებებს, რადგან წიწილებსაც ხომ შემოდგომაზე ითვლიან... ბუნებრივია, ოპოზიცია ჩვეულ ამპლუაში მოგვევლინება. ყველამ ვიცით, რომ შარშან განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ყველა მათგანის რეიტინგი, ფაქტობრივად, ნულს გაუტოლა. ახლა გადარჩენისთვის ახალ გზებს - ახალი ერთობებით ეძებენ, თუმცა შესაკრებთა გადანაცვლებით რომ ჯამი არ იცვლება, ეს მარტივი არითმეტიკაა. ნიკა გვარამიამ ვისთან ერთადაც უნდა შექმნას პოლიტიკური პარტია თუ გაერთიანება, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის ის მაინც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირდება, პარტიასთან, რომელსაც არსებობის დღეები დათვლილი აქვს და პულსი აღარ ესინჯება. ქართველი ამომრჩეველი გაიზარდა, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა თვალში ნაცარს აყრიდნენ ხალხს. დღეს არავის ეშინია საკუთარი პოზიციის დაფიქსირების, ხმამაღალი განცხადებების გაკეთების. სხვას თუ არა, ჟურნალისტებს ხომ ძალიან კარგად გვახსოვს, როგორ პირობებში გვიწევდა მუშაობა. დღეს, სიტყვის თავისუფლებაზე რომ ლაპარაკობენ, ეს სწორედ „ქართული ოცნების“ დამსახურებაა. რა მოლოდინი უნდა მქონდეს ან ვის უნდა დაუჭიროს მხარი ქართველმა ამომრჩეველმა - მევახშე ხაზარაძეს თუ მოღალატე გახარიას, სისხლიანი რეჟიმის შემოქმედ „ნაციონალურ მოძრაობას“ თუ მოქმედ პრეზიდენტს, რომელიც აუცილებლად გადაბარგდება ოპოზიციაში? „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“, მათზეა ნათქვამი. დღეს, როცა ხაზარაძე პენსიონერებს ატყუებს, დიახ, ატყუებს, რომ პენსიებს 1000 ლარამდე გაზრდის, იქნებ არაპენსიონერებს უთხრას, საპროცენტო განაკვეთს რამდენით შეამცირებს, ან, თუნდაც, ნიკა გვარამია რას ეტყვის ამომრჩეველს, ხელისუფლებაში რომ მოვალთ, ისეთები აღარ ვიქნებით, როგორებიც ადრე ვიყავითო? საბედნიეროდ, ზღაპრების ვისაც სჯერა, იმათ ხმის მიცემის უფლება არ აქვთ - ასაკი არ უწყობთ ხელს.

- პრეზიდენტი ზურაბიშვილი ახსენეთ და როგორ ფიქრობთ, შეიწყალებს თუ არა პატიმარ სააკაშვილს?

- სალომე ზურაბიშვილისგან ყველაფერია მოსალოდნელი. არ გამიკვირდება, თავისი სიტყვები „არა და არასდროს“ უკან წაიღოს და დამნაშავე საკაშვილი შეიწყალოს. ისე, საკაშვილის თემით მანიპულირება რომ არ გაუვიდათ, ესეც ხელისუფლების დამსახურებაა. გახსოვთ, როგორ ისტერიკაში იყვნენ - პრეზიდენტს კლავენ, არაადამიანურად ეპყრობიან, პრეზიდენტი მოწამლეს, აუცილებელია, უცხოეთში იმკურნალოსო... რამდენი გავიხსენო. ევროპულმა სასამართლომ თქვა, რომ საკაშვილს არავინ აწამებს და მისთვის ყველა სერვისი ხელმისაწვდომია, ის არ საჭიროებს უცხოეთში მკურნალობას, თუმცა პერიოდულად მაინც მოაგონდებათ საუკეთესო პირობებში მყოფი საკაშვილი და ამოიკნავლებენ - „თავისუფლება - მიშას“. რა უსამართლოა ზოგჯერ ცხოვრება, საკაშვილი სასჯელს მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროინდელ ციხეში უნდა იხდიდეს... სალომე ზურაბიშვილი, ალბათ, ჯერ არა, თუმცა „სექტანტების“ გულის მოსაგებად, წინასაარჩევნოდ შეიწყალებს საკაშვილს, რითაც საბოლოოდ დაასრულებს თავის პოლიტიკურ კარიერას.

- ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მესამედ დაბრუნებასა და ირაკლი ღარიბაშვილის თანამდებობიდან მეორედ გაშვებაზე რას იტყვით?

- ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების თაობაზე სრულიად ვეთანხმები „ხალხის ძალის“ ლიდერ სოზარ სუბარს, უფრო მეტიც, იმდენად სწორად ჩამოაყალიბა, სურვილიც კი არ მაქვს, რამე მოვაკლო ან დავამატო მის სიტყვებს: „ღრმად ვარ დარწმუნებული ერთ რამეში: ბიძინა ივანიშვილი რომ დაბრუნდა თვე-ნახევრის წინ ქართულ პოლიტიკაში, ის სიტყვები, რაც მან თქვა, არ არის უბრალოდ განცხადება, არამედ არის პოლიტიკური გეგმის ნაწილი, რომელიც აღსრულდება. საქართველო იქნება სუვერენული სახელმწიფო, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება და საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი როგორც სუვერენული, სრულფასოვანი სახელმწიფო და არა - ცალ ფეხზე მდგომი, როგორც ეს ზოგიერთებს უნდათ და წარმოუდგენიათ“. მჯერა, ბიძინა ივანიშვილის სახელი საქართველოს ისტორიაში ჩაიწერება როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღმდგენის, სხვა სასიკეთო საქმეებზე რომ არაფერი ვთქვათ. რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, ის იყო და იქნება ქართველობის, ქართული სიწმინდის, ქართული ოჯახის, ეკლესიის დამცველი. ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობამ ბეწვის ხიდზე გაიარა და საქართველოში არ დაუშვა ომი. ის არსად წასულა, რჩება „ქართულ ოცნებაში“ და კიდევ ბევრი კარგი საქმე აქვს გასაკეთებელი, ახალი პრემიერი კი იმდენად პროფესიონალია ყველა მიმართულებით, ოპონენტებმაც ვერ შეძლეს მასზე აუგის თქმა. ირაკლი კობახიძე პრემიერობასაც ღირსეულად გაართმევს თავს.

- შარშან „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებულ კანონპროექტს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ქვეყანაში საპროტესტო აქციები მოჰყვა, განსაკუთრებული გულისწყრომა ახალგაზრდებში გამოიწვია...

- „არა - რუსულ კანონს“ - ეს ფრაზა სასაცილო იყო იმთავითვე, როცა ამერიკული კანონის ანალოგს რუსული უწოდეს, მაგრამ სწორედ ახალგაზრდებზე იყო გათვლილი ოპოზიციის ქმედებები. ჩვენ გვყავს ძალიან გონიერი, ნიჭიერი, განათლებული ახალგაზრდა თაობა, რომელსაც, ალბათ, სიღრმისეულად არ ავუხსენით კანონპროექტის არსი, ამით კი ქვეყნის შინაურმა და გარეულმა მტერმა ისარგებლა და სწორედ მათი მობილიზება, ქუჩაში გამოყვანა მოახერხა. მცდარ ინფორმაციას აწვდიდნენ ჩვენს ახალგაზრდებს, თითქოს მათთვის ევროპული განათლება ხელმისაწვდომი არ იქნებოდა, ამ კანონის მიღებით დავკარგავდით ევროპულ პერსპექტივას. სიმართლე კი ის იყო, რომ უცხოეთიდან მართულებს ხელს არ აძლევდათ, მათი საქმიანობა გამჭვირვალე ყოფილიყო. დღეს „რუსული კანონის“ მიღებას ევროპაში აპირებენ, ამით ყველაფერი ნათქვამია! როგორც საუბრის დასაწყისში ვთქვი, 2024 საარჩევნო წელია და ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მმართველი გუნდი ამ არჩევნებში უკონკურენტოა. რაც შეეხება „ხალხის ძალას“ - რას ვაპირებთ? ამაზე ცოტა მოგვიანებით, თუმცა, ჩვენი წილი აგური უკვე დავდეთ ქვეყნის უკეთესი მომავლის მშენებლობაში. ვფიქრობ, მომავალში უფრო მეტის შესაძლებლობა გვექნება.

სოფელ ქაქუთის მოსახლეობა ციტრუსის საწარმოს დაბრუნებას მოითხოვს

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქაქუთის ცენტრში ადგილობრივმა მოსახლეობამ აქცია გამართა. ისინი სოფელში არსებული ციტრუსის საწარმოს გასხვისებას ეწინააღმდეგებიან

მოსახლეობა აცხადებს, რომ თავის დროზე ეს შენობა სოფლის ხარჯებით აიგო და 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მოსახლეობა დარაჯის ფუნქციას ასრულებდა, რათა არ განადგურებულიყო აღნიშნული მრავალფუნქციური ნაგებობა. მოსახლეობის ინფორმაციით, ისინი სეზონურად ციტრუსს და თხილს აბარებდნენ და ასაწყობებდნენ იქ, სამუშაოებზე კი 50 ადამიანი იყო დასაქმებული. მათივე თქმით, აქ იკვეთება აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირადი ინტერესი, რადგან შენობა გასხვისებულია აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძის ახლო ნათესავზე. მოსახლეობა აცხადებს, რომ აღნიშნულ შენობას ვერავინ დაისაკუთრებს, რადგან ისინი ამის ნებას არ მისცემენ. მათი მოთხოვნაა, შენობა მოსახლეობას დაუბრუნდეს. ადგილობრივები პერმანენტულ აქციებს აანონსებენ და ეკონომიკის სამინისტროს და ჯაბა ფუტკარაძეს მოთხოვნის შესასრულებლად 10-დღიან ვადას აძლევენ.

აჭარის ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ ქაქუთის ეგრეთ წოდებული ციტრუსის პავილიონი 2013 წლის 22 აგვისტოს გასხვისდა. ხელშეკრულების პირობის მიხედვით, მესაკუთრემ „ციტრუსის პავილიონის“ პროფილის შენარჩუნება 20 წლის ვადით უნდა უზრუნველყოს. როგორც სასოფლო-სამეურნეო რეგიონალური კოოპერატივ „აჭარის თემის“ წარმომადგენელი ამბობს, შენობა-ნაგებობა მე-11 წელია, რეგიონალური კოოპერატივის ბალანსზე ირიცხება. აღნიშნულ საკითხზე უფლებადამცველ **თამაზ ბაკურიძეს** გავესაუბრეთ:

- სოფელ ქაქუთის ცენტრში არსებული შენობა 1985 წელს არის აგებული. ეს, ძირითადად, ციტრუსის ჩაბარების საწარმო იყო. ადრე, როცა შენობა დაიშალა, სოფლის ბიუჯეტითა და ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯით გაკეთდა. შემდეგ, 90-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, ამ სოფლის მოსახლეობამ შენობა ისევ შეინარჩუნა და, ფაქტობრივად, მის დარაჯად იქცა. ახლა მოხდა ისე, რომ შენობა, სოფლის მოსახლეობის დაუკითხავად, 1 ლარად გასხვისდა, რაზეც მათ უარყოფითი რეაქცია ჰქონდათ. ქაქუთის მოსახლეობა შენობის დაბრუნებას ითხოვს. ახლა მთავარია, მათი მოთხოვნა გაითვალისწინოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, რომელსაც საკითხით დაინტერესებისთვის 10-დღიანი ვადა მისცეს. თუ მოსახლეობა პასუხს ვერ მიიღებს, გადაწყვეტილი აქვს, შენობას თავად დაეპატრონოს.

ფოტოებში ასახული ქალაქისა და ადამიანების სიყვარული

შეხვედრა გურამ ტურაშვილთან

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ხელოვნების ცენტრში სალონურ საღამოზე „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“ ფოტორეპორტიორი გურამ ტურაშვილი იმყოფებოდა. 2022 წელს ის საუკეთესო ფოტოხელოვანად დასახელდა, ხოლო შარშან, ფოტოხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საპატიო ბათუმელის წოდება მიენიჭა

როგორც ვახტანგ ღლონტმა აღნიშნა, გურამ ტურაშვილის სალონურ შეხვედრაზე მიწვევას დიდი ხანია აპირებდა, უნდოდა, შეხვედროდა როგორც ჩვენი ქალაქის მემატიანეს და, ასევე, ამ ქალაქის ერთ-ერთ მთავარ პერსონას.

- გურამს ისეთი ფოტოები აქვს, რომლებსაც მომავალში ჩვენი ქალაქისთვის ისტორიული მნიშვნელობა ექნება. შეიძლება დღეს ამას ჩვენ - მისი თანამედროვენი ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას, მაგრამ ხვალ და ზეგ ის ღირებული გახდება, სხვა დატვირთვას შეიძენს, ეს ფოტოები „ილაპარაკებენ“, მოყვებიან ქალაქის ისტორიას, - აღნიშნა ბატონმა ვახტანგმა.

გურამ ტურაშვილმა გვიამბო, თუ როდის აიღო პირველად ფოტოაპარატი ხელში და შეკრებილთ ეკრანზე სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოებიც წარუდგინა.

ფოტოგრაფიით გასული საუკუნის 90-წლებიდან დაინტერესდა. მის არქივში ასობით ფოტო ინახება და, როგორც თქვა, ყველას ვერც მოიტანდა, რადგან ძალიან დიდი არქივი აქვს. ისეთები წამოიღო, რომლებიც მას მოსწონს და გაუხარდა, რომ ისინი სალონურ საღამოზე მოსულ საზოგადოებასაც ძალიან მოეწონა.

როგორც გვითხრა, ფოტოგრაფობას თუ დაიწყებდა, არ ეგონა. ერთ დღეს მამამ ფული აჩუქა კოსტიუმის საყიდლად, წავიდა და... ფოტოაპარატი შეიძინა. შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, როცა ლექციაზე ლექტორი ქეთევან ალასანია შევიდა და იკითხა, ვინმეს ხომ არ ჰქონდა სახლში ფოტოაპარატი. იმ დღეს წვიმიანი ამინდი იყო და ქალბატონ ქეთოს პიონერთა პარკის გადაღება სურდა. გურამმა მიიტანა ფოტოაპარატი და ლექტორთან ერთად პარკში გადასაღებად წავიდა. მაშინდელ სტალინის ქუჩაზე რომ მივიდნენ, დაინახეს, რომ ტბა გადმოსულიყო და ქუჩაც მთლიანად დაეტბორა. გურამმა კადრები გადაიღო, დაბეჭდა (მაშინ ერთადერთ ფოტოლაბორატორიაში, რომელიც ბლაგოევგრადის ქუჩაზე მდებარეობდა) და ლექტორს მიუტანა. გული წყდება, რომ ის ფირი არ შემორჩა. აქვს ერთადერთი ფოტო - მაშინ ტბაზე გემი „პიონერი“ დაცურავდა, რომელიც წყალს საერთოდ დაეფარა. ეს მისი პირველი სერიოზული ფოტო იყო. მერე უმაღლესი დაამთავრა და მუშაობა ბათუმის ჰიდრომეტობსერვატორიაში დაიწყო. საბჭოთა კავშირი რომ დაშალა, მეგობარმა ვალერი ზინკოვსკიმ, რომელიც მაშინ ტელევიზიაში მუშაობდა, ფოტოების გადაღება შესთავაზა და აპარატიც მისცა... როგორც ამბობს, თავდაპირველად გადაღებები მისთვის ჰობი იყო. მერე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სათანამშრომლოდ რევაზ ჯაბნიძემ მიიპატიჟა. ერთხელ აჭარაში სტუმრად მყოფმა გერმანელმა მწვანე კონცხზე მაგნოლია დარგო. გურამმა ეს ფაქტი აღბეჭდა და ფოტო რუსულმა გაზეთმა „ადჟარიამ“ გამოაქვეყნა. ჰონორარი 5 მანეთი მიღებული ჰქონდა.

ეს ფოტო ერთ-ერთ ადგილობრივ ფოტოლაბორატორიაში ეკიდა. ერთ-ერთ ადგილობრივ ფოტოლაბორატორიაში ეკიდა. ... ეს ფოტო ... ეს ... ...

მეწყრული პროცესების საპირისპიროდ...

ისტორიული ციხესიმაგრე - ერთ გორაკზე, საუკუნის წინ აღდგენილი ქართული სკოლის შენობა, მოწესრიგებული სოფლის ინფრასტრუქტურა, ფერდობებზე გაშენებული და ხეხილის ბაღებში ჩამალული ოდასახლები - ასე გამოიყურებოდა გასული წლის მიწურულს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელი ნიგაზეული. თებერვალში განვითარებულმა სტიქიურმა პროცესებმა ლამის საფრთხის წინაშე დააყენა ამ ისტორიული სოფლის მყუდრო ცხოვრება. ნიგაზეულსა და ზამლეთის თემის კიდევ სამ სოფელში (ბუთურაული, ნენია, ფურტიო) მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ზამლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ბიჭიკო ხიმშიაშვილი

- ნიგაზეულის, ბუთურაულის, ნენიის, ფურტიოს წარსულსა და დღევანდელობაზე მრავალი თქმულა და დაწერილა, ამდენად, ამ ოთხი სოფლის წარსულის გაანალიზებას არ შევუდგები, მხოლოდ არსებულ გარემოებაზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას. ჯერ იყო და ნიგაზეულში, ბუთურაულში, ნენიაში ჰექტრობით ტერიტორიებზე ნაძვის ხეები მასობრივად გახმა. თვალს რომ შეავლებდი, იფიქრებდი, ვიღაცამ ცეცხლი წაუკიდაო. ხეების მასობრივმა გახმობამ რამდენიმე ოჯახი თოვლის ზვავების ჩამოწოლის საფრთხის წინაშე დააყენა. კიდევ კარგი, ბოლო დროს თოვლი ისე ხვავრიელად აღარ მოდის, თორემ ისეთივე მსხვერპლის, ნგრევის მომსწრენი ვიქნებოდით, როგორც წინა საუკუნეში ხდებოდა. ბუთურაულში დაწყებული მეწყრული პროცესები ყველას სატკივარი და საზრუნავი გახდა, მის შედეგად გამოწვეულ ზარალს ვითვლიდით, ხელისუფლების თანადგომით დაზარალებული ოჯახების გაყვანასა და საკომპენსაციო თანხების გაცემაზე თადარიგს ვიჭერდით, როცა ამას ნიგაზეულსა და ნენიაში მიმდინარე მეწყრული პროცესები დაერთო.

- სპეციალისტები, ადგილობრივი მოსახლეობა ნიგაზეულში განვითარებულ მეწყრულ პროცესებს მოულოდნელობად მიიჩნევენ. მაინც რას მიეწერება ასეთი მდგომარეობა?

- გონიერი წინაპრები არც ნიგაზეულელებს გვაკლდა. ისინი საცხოვრებელ სახლებს, ინფრასტრუქტურულ ობიექტებს ისეთ ტერიტორიებზე აშენებდნენ, რომლებიც სტიქიური პროცესებისგან (ზვავი, მეწყერი, კლდეზვავი) დაცული იქნებოდა. წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სახლები ნიგაზეულის ისტორიული ციხესიმაგრის ირგვლივ მატულობდა და მშენებლობა ახლაც მიმდინარეობს. სოფლის ისტორია ჩემი და უფროსი თაობის ნიგაზეულელებმა კარგად ვიცით. მემატიანეებს ერთი ფაქტიც არ აქვთ აღწერილი ისეთ მდგომარეობაზე, რისი მომსწრე და მოწმენი ახლა ვართ. კაკალაძეების უბნის გარდა, 6 კილომეტრზე განფენილი სოფლის ტერიტორიაზე მეწყრული პროცესებია განვითარებული. სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე, უკვე 48 ოჯახმა მრავალი წლის განმავლობაში ნაშენებ-ნაამაგარი საცხოვრისი უნდა დატოვოს და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდეს. ბევრს საუბრობენ სტიქიის შემოტევაზე, მაგრამ გამომწვევ მიზეზებზე კონკრეტულად არაფერი თქმულა.

- გზების, სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გაყვანას ბევრი ასახელებს სტიქიის გამომწვევ მიზეზად...

- სოფლის დაარსების დღიდან გზებიც გაჭყავდათ, სარწყავი და სასმელი წყლის არხებიც, მაგრამ მსგავსი მდგომარეობა არასოდეს შექმნილა - 180-კომლიან სოფელში თითქმის მეოთხედი საფრთხის წინაშე დადგა. ყველანი ვხედავდით, როგორი რუდუნებით იწყობდნენ საცხოვრისს ზურაბ აბაშიძე, ნაზიკო ხიმშიაშვილი-ცეცხლაძე, თეა ცინცაძე, ფრიდონ, ჯემალ, მერი კეკელიძეები, მედეა ქარცივაძე, შოთა დიასამიძე და სხვები. ახლა მათი სახლები, ეზოები ტალახითაა დაფარული. ისევ და ისევ გლობალურ დათბობას მიეწერება ყველაფერი. ჩვენთან იანვარ-თებერვალში ყოველთვის მოდიოდა თოვლი, წელს კი სანატრელი გახდა. ხეებში ჩამომდინარე ნაკადულების ისეთი ადიდება, რისი მომსწრეც ამჯერად გავხდი, არავის ახსოვს. არავინ უწყის, მარტი და აპრილი რას გვიქადის. ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მაღლა არსებულ ტერიტორიებზე საკმაოზე დიდი თოვლის საფარია. მის დნობას თუ იანვარ-თებერვლის მსგავსი წვიმები დაერთო, საქმე ყველგან გართულდება, განსაკუთრებით, მდინარეების მიმდინარე ტერიტორიებზე.

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში სპეციალისტებთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც ჩართულნი ხართ. რა ბედი ელის იმ ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო, კულტურულ პროექტებს, რომლებიც ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება?

- მჯერა, საბოლოოდ, ბუნება არ გაგვწირავს. სოფლებში ცხოვრება, ხალისი, მომავლის რწმენა არ უნდა ჩაკვდეს. იმედია, ფურტიო, ნენია და ნიგაზეული ისევ მრავალკომლიან დასახლებებად დარჩება, გაგრძელდება სოფელ ნიგაზეულის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები. ამ პროექტზე 284 ათასი ლარია მობილიზებული. სოფელ ნენიაში ბაგა-ბაღის შენობის აგება იგეგმება.

ფურტიო შუახევის მუნიციპალიტეტში პირველი სოფელია, სადაც თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სკოლა აიგო, რომელსაც როგორც დახურული, ისე ღია სპორტული მოედნები აქვს. ნენიის სკოლის მიმდებარედ გაკეთებულ სპორტულ არენას ბადალი არ მოეძებნება. ამ სოფელში, დედეშვილების უბნიდანაც 3 ოჯახი ადგილმონაცვლეობას საჭიროებს. მეწყრული პროცესები შეინიშნება ფურტიოშიც, მელიქიშვილების უბანში. ოთხივე სოფელში გაგრძელდება შიდასასოფლო გზებზე ბეტონის საფარის დაგება, ბეტონის საყრდენი და დამცავი კედლების ჩამოსხმა. მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად, „სოფლის მხარდამჭერი პროგრამით“ მობილიზებულ თანხებსაც ცალკეულ პროექტებზე განვკარგავთ.

- რამდენად მოხერხდება მათი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და ხარისხიანად დასრულება?

- ერთ წელზე ცოტა მეტი გავიდა, რაც ეს საპასუხისმგებლო თანამდებობა ჩამაბარეს. იმ ადამიანების კატეგორიას ვეკუთვნი, ვინც მინდობილ საქმეს, დაკისრებულ მოვალეობას პასუხისმგებლობით ეკიდება. მთავარი ყურადღება, შუახევის მინიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთად, პროექტების ხარისხიანად და დროულად შესრულებაზე, მონიტორინგზე გადაგვაქვს. გვერდით მიდგანან ნიგაზეულში, ფურტიოში, ბუთურაულსა და ნენიაში დანიშნული რწმუნებულებიც. გულისხმიერება, პასუხისმგებლობა არცერთ მათგანს არ აკლია.

- დაბოლოს, რა მდგომარეობაა ფურტიოში არსებულ რაგბის სტადიონზე?

- ქვეყნის, რეგიონის, ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრიდან ყველაფერი კეთდება, რომ აჭარის მთიანეთში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სპორტული არენა გვქონდეს. ა(ა)იპ-ი „შუახევის რაგბის სკოლის“ ხელმძღვანელი სოფელ ფურტიოს მკვიდრია. მასთან ერთად ყველა ღონეს მივმართავთ, რომ სტადიონის კეთილმოწყობა დროულად და ხარისხიანად დასრულდეს. ამისთვის 12 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი აქვს სათქმელი

ოთარ ფუტკარაძე შუახევის მუნიციპალიტეტის შუბნის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. მას 70 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღს ლექსების პირველი კრებულით შეხვდა. დღეს იგი ჩვენთან თავის ცხოვრებაზე, პროფესიულ საქმიანობასა და პოეზიაზე ისაუბრებს



- ბატონო ოთარ, 70 წელი უკან მოიტოვეთ. ეს დრო ალბათ ბევრი საინტერესო მომენტითაა სავსე...

- დიახ, სამოცდაათი წელი სერიოზული ასაკია. საკმაოდ გრძელი და საინტერესო ცხოვრებისეული გზა გამოვიარე - სოფელში გატარებული მოსწავლეობა, სტუდენტობა, პირველი პედაგოგიური ნათლობა, მასწავლებლობა, ჩემს პროფესიაში პირველი ნაბიჯები, ახალგაზრდული შემართება, მიზნები, სიამაყე, როცა ახალბედა მასწავლებელმა საკლასო ოთახის კარი შევაღე... დაუვიწყარი დრო...

- ნახევარი საუკუნე მასწავლებლობას შეალიეთ. რამ განაპირობა თქვენი პროფესიული არჩევანი?

- 53-ე წელია სწავლა-აღზრდას ვემსახურები. არასოდეს დამზარებია ჩემი საქმე. ამ პროფესიის არჩევა ჩემი მასწავლებლების სიყვარულმა გადამაწყვეტინა. მშობლიური ენა და ლიტერატურა სკოლის დირექტორმა, ბრწყინვალე პედაგოგმა, ქალბატონმა თამარმა შემაყვარა... ხშირად მეუბნებოდა, ოთარ, ჩემი პროფესია ისე უნდა შეგაყვარო, რომ ვერასოდეს დათმოო, ასეც მოხდა... მადლობა მას!

- თქვენი მოსწავლეობისა და მასწავლებლობის ხანა იმ წლებს ემთხვევა, როცა მარეთის ხეობაში შუბნის საშუალო სკოლა გაიხსნა. რა როლი შეასრულა ამ საგანმანათლებლო კერამ ოთხი სოფლის სწავლა-აღზრდის საქმეში?

- ჩემი მოსწავლეობის პერიოდში შუბნის საშუალო სკოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო კერა გახლდათ. იგი ოთხი სოფლის ახალგაზრდობას უხმობდა - 200-დან 250-მდე მოსწავლე... სასკოლო ინტერნატი... შესანიშნავი პედაგოგები. რამდენი რამის გახსენება შეიძლება, რაოდენ საინტერესოა თვალის გადავლება, რა დრო გასულა!

- უკვე მესამე წელია, სკოლა ცნობილი ქართველოლოგისა და მეცნიერის, თქვენი თანატოლის, ტარიელ ფუტკარაძის სახელს ატარებს. მეცნიერისა და პოეტი-პედაგოგის ურთიერთობა როგორი იყო?

- ტარიელ ფუტკარაძე ცნობილი ქართველოლოგი და ენათმეცნიერი, ქვეყნისა და ერის პატრიოტი გახლდათ. სასიამოვნო იყო მასთან საუბარი, აზრებს ხშირად ვუზიარებდით ერთმანეთს. აღფრთოვანდა, როცა გავუმხილე, რომ კრებულის გამოცემას ვაპირებდი. უხაროდა, კრებულში ტაო-კლარჯეთისთვის რომ ვაპირებდი მნიშვნელოვანი ადგილის დათმობას. ასეც მოვიქეცი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონი ტარიელი ვერ მოესწრო...

- საზოგადოება ღირსეულ პედაგოგად გიცნობთ, ამას პოეტობაც შეუხამეთ. როდის მოიმარჯვეთ კალამი პირველი ლექსების დასაწერად?

- ბუნებრივია, ფილოლოგს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, პოეზია უნდა უყვარდეს. ლექსებს ბავშვობიდან ვწერდი. ჩემი პირველი ლექსის პირველი სტროფი, მეშვიდე კლასში, თამარ მასწავლებელს წავაკითხე. გაიხარა, გულში ჩამიკრა... გამამხნევა. სირცხვილისაგან ავიწვი... აი, ის სტრიქონებიც:

ბუნება ვაჟას უქია,
ათასნაირი ფერითა,
მინდა ბუნება მეც ვაქო,
ვაჟას ნაქების ცქერითა...

ის ღამე არ მძინებია. შემდეგ დაუსრულებლად ვკითხულობდი ქართულ პოეზიას. ვაჟა შემიყვარდა... გაგიუებით მიყვარს მისი სტრიქონები, ჩემში ყველაფერი ვაჟათი დაიწყო.

- იმერხევს, საზღვრებს მიღმა დარჩენილ საქართველოს ლექსების ციკლი მიუძღვენით. ამ კუთხესთან ურთიერთობებზეც გვითხარით...

- იმერხევი, ტაო-კლარჯეთი... ჩვენი, ქართველთა მოუშუშებელი ტკივილი და სევდა. იმერხევის ყველა კუთხე-კუნჭული ვიცი. იქ ჩვენი ქართველები არიან, ქართული ადათ-წესებია, იმერხეული დიალექტი, რომელიც ძალიან ახლოსაა ქართულ სალიტერატურო ენასთან. იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ 35-მდე ეგზემპლარი ვუსაჩუქრე იმერხეველ ბავშვებს. ისინი აღტაცებულნი იყვნენ, მე კი უსაზღვრო სევდა და სიხარული დამეუფლა. იმერხევი, ტაო-კლარჯეთი ხომ ჩვენია... ქართულია...

- წიგნი საკუთარი ხარჯებით გამოეცით, თადარიგს იჭერთ მეორე წიგნის გამოსაცემად. ხომ არ გიფიქრიათ, რომ წიგნი ყველაზე ძვირფას ადამიანს - მეუღლეს მიუძღვნათ?

- საოცარია, თითქოს ზუსტად მიაგენით ჩემს სათქმელს. თუკი დამცალდა, რა თქმა უნდა. ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი მაქვს სათქმელი. დამრჩა დაუსრულებელი ლექსები და პუბლიცისტური წერილები. სწორად მიაგენით ჩემს ხვალინდელ სათქმელს. მეორე კრებულს ჩემს მეუღლეს, ქალბატონ ნათელას მივუძღვნი. უდიდესია მისი წვლილი, გულწრფელად ვამბობ, ის ხომ ჩემი შვილების დედაა!

- ღირსეული შვილებითაც ამაყობთ. რაა მთავარი, შვილები წარმატებულები რომ იყვნენ?

- სამი შვილი მყავს, ხუთი - შვილიშვილი. მიხარია. არასდროს შემიქია ისინი, არ მითქვამს, რომ ღირსეული ცხოვრებით მიიკვლევენ გზას და აცნობიერებენ, რომ მამა პედაგოგია, მომავალი თაობის აღმზრდელი. სხვაგვარად არ ძალუძთ. სიმართლე, ერთგულება, შრომისმოყვარეობა, თავაზიანობა, ოჯახისა და ქვეყნისადმი ერთგულება და სიყვარულია მთავარი თვისება ხვალინდელი წარმატებისთვის.

- ყოველი პოეტის შემოქმედებაშია ლექსები, რომლებსაც სათაყვანებელ ადამიანებს უძღვნის. თქვენს შემოქმედებაში ეს მიმართულება არ ჩანს. რატომ?

- ამჯერად, ჩემი ლირიკული ლექსების კრებული კონკრეტული მიმართულებით გამოირჩევა: სამშობლო, დედაენა, ტაო-კლარჯეთი, ბავშვობა, მისი შეუდარებელი ბუნება - აი, ძირითადი სათქმელი.

- ბუნება, სათაყვანებელი მთა, მით უმეტეს ჩირუხი მრავალგზის გაქვთ ნახსენები. ეს მიზანსწრაფვა სათავეს საიდან იღებს?

- ბუნება ჩემთვის ყველაფერია. მთიელისთვის მთა სალოცავი ხატია. უდარდელი და ლაღი ბავშვობა სწორედ მთა ჩირუხს უკავშირდება. საოცრად მიყვარს... ყველაფერს მირჩევნია. ბევრი ლექსი მთის შეუდარებელმა ბუნებამ მიკარნახა.

- საკუთარი თავის მიმართ მეტ მომთხოვნელობას იჩენთ. ეს გენის გამოძახილია თუ ცხოვრებისა და საქმიანობის შედეგი?

- შეიძლება, გულწრფელად ითქვას, ზედმეტადაც მომთხოვნი ვარ საკუთარი თავის მიმართ. ეს, გარკვეულწილად, გენის გამოძახილიცაა, მაგრამ, ძირითადად, ჩემი საქმიანობის შედეგია.

- მშობლებს ყურადღების მიღმა არ ტოვებთ. მათ როლზეც გვითხარით...

- შეუდარებლად მშრომელი, ალალი და მოფუსფუსე მშობლები მყავდა. ჩემი სტუდენტობისას საკმაოდ მძიმე, ცხოვრებისეული პრობლემები იყო. არაფერი გამჭირვებია. დედა და მამა ყველაფერს აკეთებდნენ ჩემი მომავლისათვის, როგორ დავივიწყებ... ჩემს კრებულში მოკრძალებული ადგილი დავუთმე მათ.

- ბებია როგორ შემორჩა თქვენს მეხსიერებას?

- ამქვეყნად ყველაზე მეტად ბებია მიყვარდა. მთელ ზაფხულს სწორედ მასთან ერთად ვატარებდი მთაში. ერთად გვეძინა. ერთი დღითაც ვერ ვძლებდი ბებიის გარეშე. სიყვარულია ყველაფერი ამქვეყნად.

- სიფიცხე და პრინციპულობაც გახასიათებთ. ეს თვისებები რამდენად მისაღებია?

- მართებულად შეაჩნიეთ. ჩემი თვისება - სიფიცხე, ბოლომდე არც მე მომწონს, მაგრამ რას იზამ, არაფერი გამომდის, პრინციპულობა კი ჩემი ცხოვრების თანმდევია.

- სხვის რჩევებს რამდენად იზიარებთ?

- ვფიქრობ, ვინც სხვის აზრს პატივს არ სცემს, შემცდარია. მრავალგზის სწორ არჩევანს მივაგენი სხვისი აზრის გათვალისწინებით.

- კონკრეტულ მაგალითებს თუ გაიხსენებთ, როცა რჩევამ სასიკეთო შედეგი გამოიღო...

- ძალიან ბევრის გახსენება შეიძლება. სწორედ ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ქალბატონ თამარის რჩევით გადავდგი სკოლის დამთავრების შემდეგ პირველი ნაბიჯი, ავირჩიე ფილოლოგიის ფაკულტეტი. შედეგად, ნახევარ საუკუნეზე მეტია, ვემსახურები მომავალი თაობის აღზრდას. ჩემი მოკრძალებული კრებული ამ რჩევის გამოძახილია.

- სხვის საქმეში ჩარევას რამდენად საჭიროდ მიიჩნევთ?

- ეს არის კითხვა, რომელიც რჩევა-დარიგებასაც შეიცავს. ყველამ კეთილსინდისიერად თავისი საკეთებელი უნდა აკეთოს, თუმცა გამონაკლისად, გონიერი და სწორი ნაბიჯის გადადგმით შეიძლება ხიფათს ააცილო ის, ვინც სერიოზული გამოწვევის და დიდი რისკის წინაშე დგას.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„მოხარშული სიმინდის დათესვის გამო“ გადასახლებული ოჯახი და დახვრეტილი ძმები

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ა(ა)იპ „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციასა“ და „აჭარის მემორიალს“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების (მემორანდუმის) საფუძველზე, ორგანიზაცია „აჭარის მემორიალი“ იძიებს 1937-38 წლებში რეპრესირებულთა შთამომავლებს

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციის“ დახმარებით, მისი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ინსტიტუციების ჩართულობითა და რეპრესირებულ პირთა ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, მიმდინარეობს სამარხებიდან ექსჰუმირებული ნეშტების სასამართლო ანთროპოლოგიური შესწავლა, შთამომავლებისგან დნმ-ის ნიმუშების აღება და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, სასამართლო ანთროპოლოგიური კვლევითა და მოლეკულურ-გენეტიკური დნმ-ის კვლევით მიმდინარეობს რეპრესირებულ პირთა იდენტიფიცირება. აღნიშნული კვლევების საფუძველზე უკვე სამი რეპრესირებული პირია იდენტიფიცირებული, რომელთა ნეშტებიც ოჯახებმა ღირსებითა და პატივით (თავიანთი წესების მიხედვით) მიაბარეს საგვარეულო სასაფლაოებს.

ჩვენი სტუმარია რეპრესირებულის შთამომავალი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ***ბურანდა დოლიძე.***

- ქალბატონო გურანდა, ვინ იყვნენ თქვენი რეპრესირებული წინაპრები და რა იცით მათ შესახებ?

- მამაჩემის დედა ბოლქვაძის ქალი იყო, 10 დედმამიშვილიდან ერთ-ერთი. ბებიის ორი ძმა 1937 წელს დახვრიტეს: გენჯალ ბოლქვაძე - აჭარის სამხედრო კომისარი და ისმაილ ბოლქვაძე - ბათუმის კომკავშირის რაიკომის მდივანი. ჩემი დის - თამილა დოლიძის თქმით, ბებიაჩემის ყოველი დილა ასე იწყებოდა - გამოაღებდა ფანჯრებს, დაალაგებდა ძმების ფოტოებს და ხმამაღლა ტიროდა. გადმოცემით ვიცოდით, რომ ისინი სადღაც ხელვაჩაურში დახვრიტეს. აქვე იყო დახვრეტილი ბებიის ბიძაშვილიც, ძალიან ცნობილი პიროვნება - ალი ბოლქვაძე, ბულვარის მაშინდელი დირექტორი. დახვრეტის შემდეგ წლები გავიდა და გაამართლეს. ადრე გაზეთი „კომუნისტი“ იბეჭდებოდა და მთელი გვერდი ჰქონდა დათმობილი 1937 წელს დახვრეტილი ადამიანების გამართლებაზე სტატიას. მამაჩემის ბიძას კარგი მუშაობისთვის, ღვაწლისთვის აქებდნენ, ადიდებდნენ და მოკლედ, გამართლდნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, წლების შემდეგ. სანადირო იარაღიც კი უჩუქებიათ ოჯახისთვის მადლიერების ნიშნად. 1950 წლის 29 დეკემბერს ჩემი ოჯახი ყაზახეთში გადაასახლეს. მამაჩემი მაშინ 12 წლის იყო. უწყლოდ, სველი წერტილის გარეშე, 14 დღე და ღამე ვაგონში გაუტარებიათ, სადაც კაცები, ქალები, ბავშვები, ჩვილები, ყველა ერთად ყოფილან. 1951 წლის ახალ წელს სწორედ ამ ვაგონში შეხვდნენ.

- რა იყო დახვრეტის მიზეზი?

- მიზეზი საერთოდ არავინ იცოდა, მაგრამ ჭორები დადიოდა იმასთან დაკავშირებით, რომ ვითომ მოხარშული სიმინდი დაუთესიათ. სინამდვილეში ეს იყო მოგონილი ამბავი. მონაყოლით ვიცი, რომ ტროცკისტებს ეძახდნენ. ამისთვის დაიჭირეს და გადაასახლეს. ასევე მამაჩემ მერაბ დოლიძისა და მამიდაჩემ მედეა დოლიძის გადმოცემით ვიცი, რომ როცა გადაასახლეს, ყველას თითო ოთახი გამოუყვეს. ოჯახში ათი სულიც რომ ყოფილიყო, არ აინტერესებდათ - ყველასთვის თითო ოთახი იყო. ჩემი ოჯახი იმ დროს საკმაოდ შეძლებული ყოფილა, თავიანთი დანაზოგი ჰქონდათ წაღებული და 2500 კვადრატული მეტრი ყურძნის ბაღი იყიდეს. საშუალება ჰქონდათ, მეტიც ეყიდათ, მაგრამ მეტის შეძენის უფლება არ ჰქონიათ. ჩემი ბებია და ბაბუა ნათესავებს და მეგობრებს ყოველთვის ეხმარებოდნენ. ყველას უნაწილებდნენ ყველაფერს, რაც ჰქონდათ. 1953 წლის 3 ივლისს გათავისუფლების საბუთი მისცეს. იმ დროს ჩვენს სახლში, მახინჯაურში, საიდანაც გადაასახლეს, სხვა ოჯახი ცხოვრობდა. გაიგეს დაბრუნების ამბავი და, რა თქმა უნდა, ჩამოსვლამდე დაცალეს სახლი. სანამ გადასახლებულები იყვნენ, ჩვენი ბაბუის დედა, 100 წლის დოდო ბებო დატოვეს ერთ ოთახში. ის ოჯახი არ აქცევდა ყურადღებას, მაგრამ ჩემი ერთი ბიძა, რომელიც არ გადაასახლეს, უვლიდა მას. მინდა მამაჩემზეც მოგიყვეთ. გადასახლებაში ვერ გაძლო, გამოიპარა და თავის ოჯახში ჩამოვიდა... შემდეგ სპეციალურად გამოუშვეს ყაზახეთიდან ორი კაცი, რომლებმაც მამაჩემი უკან დააბრუნეს.

- ძალიან დიდი საქმე კეთდება ნეშტების დნმ-ის კვლევასთან დაკავშირებით... რა მოლოდინი გაქვთ?

- შთამომავლებს დნმ-ის ანალიზი აგვიღეს, მეც და მამიდასაც. მამიდაჩემი დიდი გულისფანცქალით ელოდება შედეგებს. ძალიან უნდა, რომ მისი ბიძების ნეშტები აღმოაჩინონ. ალბათ ამით სიმშვიდეს ჰპოვებენ ჩემი ბებია-ბაბუის და მამაჩემის სულები. ეს არის ძალიან სამადლო საქმე.

- რამდენი ხანია, რაც აქტიურად ხართ ჩართული ამ კვლევებში და ამჟამად რა ეტაპზე ხართ?

- 2017 წლიდან, როგორც კი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გავხდი, აჭარის „მემორიალის“ ხელმძღვანელს, ბატონ ზურაბ ზაქარიაძეს ჩემი აჭარის ტელევიზიასა და რადიოში მუშაობის 21-წლიანი გამოცდილებით, ამ თემის წინ წამოწევაგაპიარებაში ვეხმარებოდი. შეძლებისდაგვარად, ჩემი წვლილიც შევიტანე ამ საქმეში. ერთობლივად დავიწყეთ აქტიურობა მე და ჩემი ჯგუფის წევრებმა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ თორნიკე რიყვაძეს, რომელმაც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა რიგი საკითხების მოგვარებაში.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- ველოდებით პასუხებს და რაც კი შეგვეძლება, საკრებულოს წევრებთან ერთად, ყველაფერს გავაკეთებთ. ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში დავდივართ, თითქმის 64 სოფელია და ყველგან შთამომავლებს ვეძებთ, სადაც კი ხელი მიგვიწვდება, სადაც კი რამის თქმა შეგვეძლება, აბსოლუტურად ყველგან. ამ საქმეში ჩართულია ხელვაჩაურის საკრებულოს თითქმის ყველა წევრი. თუ ნეშტების იდენტიფიცირება მოხდება და იმ ადამიანებს ისეთი პატივით და ღირსებით დავკრძალავთ, როგორიც ეკუთვნით, ეს იქნება ძალიან სამადლო, საშვილიშვილო საქმე. ჩვენ ამ კუთხით ყველაფერს ვაკეთებთ.

ლანა ბოლქვაძე – ამ სახელს კიდევ ბევრჯერ გავიგონებთ

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც სულ უფრო მეტი ქალი ინტერესდება კრივით. სპორტის ამ სახეობისადმი მისწრაფება სხვადასხვაგვარია. ზოგი, უბრალოდ, დროის გასატარებლად დადის დარბაზში, ზოგი - ლამაზი სხეულის გამოსაკვეთად, ზოგს კი მართლა უყვარს კრივი და ჩემპიონობასაც უმიზნებს

ჩვენი დღევანდელი სტუმარი ქალთა შორის საქართველოს ორგზის ჩემპიონი, 19 წლის ბათუმელი მოკრივე ***ლანა ბოლქვაძეა.*** *მან როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში მიაღწია წარმატებას და ბერლინის საერთაშორისო თასის გამარჯვებული გახდა.*

- პირველად როდის დაინტერესდით სპორტის ამ სახეობით?

- საბრძოლო სახეობები ბავშვობიდან მიტაცებდა. ბედი ვცადე სპორტის ბევრ სახეობაში, მათ შორის მძლეოსნობაში, კალათბურთში, რაგბიში, მაგრამ 3 წლის წინ არჩევანი კრივზე შევაჩერე. დარბაზში რომ შევდივარ, იქ სხვა სამყარო მხვდება. ძალიან მომწონს და მიყვარს საკუთარი თავი კრივის ხელთათმანებში.

- კრივი, ერთი შეხედვით, მამაკაცების სპორტია. როგორი რეაქცია ჰქონდათ მშობლებს, როდესაც თქვენი გადაწყვეტილების შესახებ უთხარით?

- მინდა ვთქვა, რომ როცა ვარჯიში დავიწყე, საქართველოში ქალთა კრივი არ იყო პოპულარული, მაგრამ ბოლო დროს ბევრი გოგონა დაინტერესდა და კონკურენციაც საკმაოდ გაიზარდა. ოჯახის წევრები თავიდან სერიოზულად არ უყურებდნენ კრივით ჩემს დაინტერესებას, ეგონათ, მხოლოდ გართობისთვის მინდოდა, მაგრამ როცა ნაიარავებითა და ჩაშავებული თვალებით მივედი სახლში, მიხვდნენ, რომ ასე არ იყო. ძალიან ბევრს ვშრომობ და მათაც გაუჩნდათ იმედი, რომ კიდევ უფრო დიდ წარმატებას მივაღწევ. ჩემი ჩემპიონობა გაუხარდათ და დღეს უკვე მხარს მიჭერენ ამ დიდ ბრძოლებში.

- საზოგადოების დამოკიდებულება როგორი იყო?

- ჩემს არჩევანს საზოგადოება სკეპტიკურად უყურებდა, მირჩევდნენ, კრივისთვის თავი დამენებებინა, მომიწოდებდნენ, გოგოსთვის „შესაფერისი“ სპორტით დავკავებულიყავი. თავდაპირველად დამცინოდნენ, მამაკაცს ემსგავსებიო. მათი თქმით, ქალი არ უნდა იყოს დაკუნთული, მაგრამ მე ასე არ ვთვლი - ქალის ათლეტური სხეული ძალიან ლამაზია. მიწუნებდნენ სიარულსაც და მეუბნებოდნენ, რომ ბიჭივით დავდიოდი. დღეს უკვე სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ და ბოლო დროს საზოგადოებისგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ.

- მაყურებელი მხოლოდ შედეგს ხედავს და არა იმას, ჩემპიონობამდე რა გზის გავლა მოგიხდათ...

- ჩემპიონობამდე გზა არის ძალიან რთული - ყოველდღიურად 6 საათი ვარჯიში და, ამასთან, შეჯიბრების წინ წონის კლება, რაც გარკვეულ დაძაბულობასთან არის დაკავშირებული. ყველა ფიქრობს, რომ ძალიან იღბლიანი გამოვდექი, რადგან ჩემპიონობას მივაღწიე, მაგრამ ვფიქრობ, იღბალი არაფერ შუაშია, შრომის გარეშე წარმატება არ მოდის. ეს დაუწერელი კანონია. ვინც შრომობს, შეუძლებელია, არ დაუფასდეს.

- ჩემპიონის უკან დგას...

- არა მხოლოდ სპორტსმენის შრომა, არამედ მწვრთნელების უდიდესი ამაგი. მწვრთნელი ძალიან დიდ როლს ასრულებს სპორტსმენის წარმატებაში.

- რა არის კრივში ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი?

- ამ სპორტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქნილობა, სისწრაფე, გამძლეობა, რეფლექსები, კარგი მხედველობა, განსაკუთრებით კი სწრაფი რეაქცია, რადგან შენკენ წამოსული მუშტი უნდა აიცილო და საპასუხო რეაქციაც გქონდეს, ამ ყველაფრის გამოსამუშავებლად კი ძალიან დიდი შრომაა საჭირო.

- როგორია თქვენი ცხოვრება კრივის ხელთათმანებს მიღმა?

- მათ გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ყველაფერში ვხედავ სპორტს, ძალიან მეხმარება დარბაზის გარეთ ცხოვრებაშიც.

- პირად ცხოვრებაში ხელი ხომ არ შეგიშალათ მოკრივე ქალის სტატუსმა?

- პირიქით, მეხმარება. როცა იგებენ, რომ მოკრივე ვარ, ჩემ მიმართ დიდ პატივისცემას გამოხატავენ და მგულშემატკივრობენ.

- ალბათ, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არ სჯეროდათ თქვენი. ამით, პირიქით, მოტივაციას ხომ არ გაძლევდნენ?

- არავისთვის არაფრის დამტკიცების სურვილი არ მქონია, მხოლოდ - საკუთარი თავისთვის. ადამიანები, რომლებსაც ჩემი არ სჯეროდათ, ყველაზე დიდი მამოტივირებლები იყვნენ. მათ მომცეს იმის სტიმული, რომ რაც შეიძლება მეტი მევარჯიშა და მიმეღწია წარმატებისთვის. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ბევრი, ვისაც ჩემი არ სჯეროდა, დღეს ძალიან დიდი გულშემატკივარია.

- რას ეტყვით იმ გოგონებს, რომლებიც კრივით არიან დაინტერესებულნი, მაგრამ ვერ დგამენ ნაბიჯს გარშემომყოფთა დამოკიდებულების გამო?

- მათ ჩემს მაგალითზე ვეტყვი, რომ ცხოვრებაში რაც გულით უნდათ, ის უნდა აკეთონ, არავის აზრს არ მოუსმინონ, რადგან ხალხის დამოკიდებულება ყოველთვის იცვლება. ჩემპიონი როცა ხდები, ყველას უყვარხარ და ამაყობენ შენით, მათ შორის ისინიც, ვისაც არ მოსწონდა შენი არჩევანი. ვიტყოდი, რომ არ ღირს ოცნებებზე უარის თქმა საზოგადოების აზრის გამო.

- დაბოლოს, თქვენს მიზნებზე გვესაუბრეთ...

- დიდი მიზნები მაქვს. გაჩერებას არ ვაპირებ და ჩემს სახელს კიდევ ბევრჯერ გაიგონებთ. მინდა, ჩემი პატარა საქართველო ვასახელო, ხუთჯერიანი დროშა ვაფრიალო და საქართველოს ჰიმნი გავაჟღერო სხვადასხვა ქვეყანაში. ჩემთვის სამშობლოზე ძვირფასი არაფერია.

1937-1938 წლებში რეპრესირებული ქალები - აჭარიდან

ასიე კომახიძე და მისი უმცროსი შვილი ლილი ვეღარ მოესწრნენ საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 11 დეკემბრის კანონს „რეპრესირებულთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და სოციალური დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ (ასიე კომახიძე გარდაიცვალა 1986 წელს, 83 წლის ასაკში, ხოლო ლილი - 1959 წელს, 50 წლისა). ნადიასა და ნუნუზე გავრცელდა საქართველოს პარლამენტის ზემოთ აღნიშნული კანონი. ამ კანონის მიხედვით ასიე ილიასის ასული კომახიძე და სელმან ყადირის ძე ლორთქიფანიძე გამოცხადებული არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. შვილებზე, რომლებიც ამ დროისათვის ცოცხლები იყვნენ, გავრცელდა სოციალური დაცვის ღონისძიება. 2014 წელს, როდესაც მათ ოჯახს ვეწვიე (ბათუმი, პუშკინის ქ. №86), ცოცხალი გახლდათ ნუნუ ლორთქიფანიძე (ნადია 2005 წელს გარდაიცვალა). ნუნუ მაშინ 90 წლის იყო, გადატანილი ტკივილების მიუხედავად, ჯანსაღად გამოიყურებოდა, მაგრამ მასთან საუბრისას აშკარად იგრძნობოდა დიდი სულიერი ტკივილი (ნუნუ სელმანის ასულ ლორთქიფანიძის ინფორმაცია, ჩავიწერეთ 2014 წლის 8 ოქტომბერს).

10 წელი გაატარა გადასახლებაში აჭარის განათლების სახალხო კომისარ ილიას ქათამაძის მეუღლე მარიამ პეტრეს ასულმა ლორთქიფანიძემ. იგი ქ. ბათუმში 1907 წელს დაიბადა. უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული და ხელგარჯილობას ასწავლიდა ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში. ქმრის - ილიას ქათამაძის და ძმის - ნიკოლოზ ლორთქიფანიძის დახვრეტის შემდეგ შინსახკომის ჯალათებმა დააპატიმრეს მარიამ პეტრეს ასული - ბრალად ედებოდა ქმრისა და ძმის „ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა“, თითქოს იყო მათი თანამოაზრე და თანამონაწილე, არ ამხილა ისინი როგორც „სამშობლოს მოღალატენი“. ამ ყალბი ბრალდებით მარიამ ლორთქიფანიძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იგი სასჯელს იხდიდა რუსეთის ფედერაციის ურალის მხარის ქ. სოლიკამსკის ქალთა კოლონიაში.

მარიამ ლორთქიფანიძემ გადასახლების ადგილას უმძიმესი ტანჯვა-წვალება გადაიტანა. დაბრუნებისას ადამიანის სახე იმდენად დაკარგული ჰქონდა, რომ ეს ულამაზესი ქალბატონი, საქართველოს წარჩინებული გვარის წარმომადგენელი, ნათესავებმაც ვერ იცნეს. დედასთან შეხვედრისას შვილებმა თამაზმა და ენვერმა ტირილი ვერ შეიკავეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მარიამ ლორთქიფანიძეს ადგილობრივი ხელისუფალნი ნორმალურ სამუშაოს არ აძლევდნენ. ბოლოს იძულებული გახდა, მუშაობა ბათუმის ზოოპარკში დამლაგებლად დაეწყო. მწარე ბავშვობა ერგოთ მის შვილებს. მშობლების დაპატიმრებისას თამაზი იყო 3 წლის, ენვერი კი 4-ის. ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონების კონფისკაციის შემდეგ ობლად დარჩენილი ბავშვები ქობულეთის საკრებულოს სოფელ მუხაესტატეში, ბებია-ბაბუასთან იზრდებოდნენ. მათ აკლდათ მშობლების მზრუნველობა და ალერსი. ასე გადიოდა წლები. ბავშვებმა დაამთავრეს ქ. ბათუმის №2 საშუალო სკოლა. შემდგომში თამაზმა დაამთავრა ლენინგრადის რძისა და ხორცის მრეწველობის ინსტიტუტი, ხოლო ენვერმა - თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ისინი წარმატებით მუშაობდნენ აჭარის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ნაწამები და ნაწვალები დედა - მარიამ ლორთქიფანიძე 1979 წელს, 72 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი ვერ მოესწრო საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 11 დეკემბრის კანონს „რეპრესირებულთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ“. მართალია, შვილები თამაზი (გარდაიცვალა 2003 წელს) და ენვერი (გარდაიცვალა 2004 წელს) მშობლების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების კანონის მომსწრენი იყვნენ და მათზე გავრცელდა კანონით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ღონისძიებები, მაგრამ განვლილი ტანჯული წლები მოუნელებელი რჩება (ლიანა სალის ასული ქათამაძე-ქათიბას ინფორმაცია, ჩავიწერეთ 2017 წლის 16 თებერვალს).

უმძიმესი ტრაგედია გადაიტანეს გვარიშვილების საგვარეულოს მანდილოსნებმა. 1937 წელს, ქმრების დახვრეტის შემდეგ, დაპატიმრეს და რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის უკაცრიელ მხარეებში გადაასახლეს მათი მეუღლეები - თენზილე ოსმანის ასული ხალვაში და ფადიმე ხასანის ასული ლამპარაძე. დაპატიმრებას შემთხვევით გადაურჩა მემედ გვარიშვილის მეუღლე ფიქრიე შევქეთის ასული ბეჟანიძე.

თენზილე ოსმანის ასული ხალვაში ალი გვარიშვილის მეუღლე იყო. ქმარი, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს უფროსად მუშაობდა, 1937 წელს დააპატიმრეს და 2 ოქტომბერს დახვრიტეს უმძიმესი ყალბი ბრალდებებით: სამშობლოს მოღალატე, ტერორისტი, შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციის მონაწილე და სხვა. მისი მეუღლე - თენზილე ხალვაში იმ დროს დააპატიმრეს, როდესაც ქმარს

საპატიმროში ამანათი მიუტანა. იგი დამნაშავედ, კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად შერაცხეს იმის გამო, რომ თითქოს დამალა ქმრის ანტისაბჭოთა საქმიანობა. საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის დადგენილებით, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, გადაასახლეს ციმბირში, სადაც სასჯელს ქალთა კოლონიაში, უმძიმეს პირობებში იხდიდა.

თენზილე ხალვაში ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირიდან გახლდათ. დამთავრებული ჰქონდა ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი და დაპატიმრებისას მასწავლებლად მუშაობდა. ქმრის დახვრეტისა და მისი დაპატიმრების შემდეგ ჯალათებმა მათი უძრავ-მოძრავი ქონების კონფისკაცია მოახდინეს. უპატრონოდ და უსახლკაროდ დარჩენილი შვილები დეიდების ოჯახებმა შეიფარეს. ზურაბი, რომელიც მშობლების რეპრესირებისას ორი წლის იყო, ლორთქიფანიძეების ოჯახში იზრდებოდა, ხოლო ერთი წლის როსტომი - დიასამიძეების ოჯახში. დედის - თენზილე ხალვაშის გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ობლად დარჩენილი ბავშვების მორალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ წლების განმავლობაში თენზილე ხალვაში და მისი შვილები დამცირებაში, შეურაცხყოფაში, ეკონომიკურ სიდუხჭირეში ცხოვრობდნენ.

სიძნელეების, ტანჯვა-წვალების მიუხედავად, თენზილე ხალვაშმა დიდი გაჭირვებით გამოზარდა შვილები და ცხოვრების სწორი მიმართულება მისცა. ზურაბმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, ხოლო როსტომმა - სოხუმის სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი და ნაყოფიერად მუშაობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში (ლამარა როსტომის ასულ გვარიშვილის ინფორმაცია, ჩავიწერეთ 2014 წლის 11 მაისს). ამჟამად, მშობლები - თენზილე ოსმანის ასული ხალვაში და ალი ოსმანის ძე გვარიშვილი რეაბილიტირებულნი არიან დანაშაულის არარსებობის გამო. ისინი აღიარებული არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად და მათ შთამომავლებზე გავრცელდა სოციალური დაცვის ღონისძიებები.

ფადიმე ხასანის ასული ლამპარაძე 1937 წლის 23 ნოემბერს დააპატიმრეს. მოტივაცია ის იყო, რომ მისი ქმარი სეიდ ომერის ძე გვარიშვილი კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ფალსიფიცირებული ბრალდებით 1937 წლის 2 ოქტომბერს დახვრიტეს და ცოლი ფადიმე ლამპარაძე თითქოს

მისი თანამონაწილე იყო. ფადიმე ლამპარაძე 5 თვე აწამეს სატუსაღოში და საბჭოთა კავშირის შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1938 წლის 23 აპრილის დადგენილებით, 8 წლით გადაასახლეს ყაზახეთში, ყარაგანდის ოლქში. 6 წელი სატუსაღოში იხდიდა სასჯელს, ხოლო 2 წელი - შრომა-გასწორების ბანაკში. ყველგან მძიმე პირობები იყო, მაგრამ საპატიმროში - უმძიმესი. შვილი - ომარ სეიდის ძე გვარიშვილი მშობლების დაპატიმრებისას 10 წლის გახლდათ და ობლად დარჩენილმა უმძიმეს პირობებში გაატარა ბავშვობის წლები. მართალია, ბებიასთან იზრდებოდა, მაგრამ მშობლების, ბიძების, მათი ოჯახის წევრების რეპრესიების შედეგად ცრემლი და მწუხარება არ მოშორებია.

ომარის დედა ფადიმე ხასანის ასული ლამპარაძე დაგლახებული, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად დაავადებული, სასჯელმოხდილი 1946 წელს დაბრუნდა, მაგრამ მშობლიურ სოფელში ცხოვრების უფლებას არ აძლევდნენ და ერთხანს ოზურგეთში ცხოვრობდა, ომარი კი ისევ ბებიასთან იზრდებოდა. ასე განვლო წლებმა. მშობლების რეაბილიტაციის შემდეგ ვითარება შეიცვალა, მაგრამ წარსული მძიმე წლების ტანჯვა-წამება მოუშუშებელი დარჩა. ომარმა დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და ნაყოფიერად მუშაობდა განათლების სისტემაში. ფადიმე ხასანის ასული ლამპარაძე 80-იან წლებში გარდაიცვალა. ომარ გვარიშვილს დიდი ბრძოლა მოუხდა მშობლების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისათვის. ამისათვის არაერთი სასამართლო პროცესი გაიმართა და მიმდინარეობდა მიმოწერები საბჭოთა კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტთან. ამ ბრძოლის შედეგად დედ-მამა - ფადიმე ხასანის ასული ლამპარაძე და სეიდ ომერის ძე გვარიშვილი, რეაბილიტაციასთან ერთად, აღიარებული არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. ოჯახზე გავრცელდა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ღონისძიებები.

1937 წლის დეკემბერში დააპატიმრეს ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის მასწავლებელი ნინო იოსების ასული ღარიბაშვილი, დაბადებული 1906 წელს, უმაღლესი განათლებით, კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან. ბრალეულობა იმაში მდგომარეობდა, რომ მისი ქმარი - საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე ანდრო შავიშვილი კონტრრევოლუციურ-ტროცკისტობის ბრალდებით დახვრიტეს. ნინო ღარიბაშვილსაც აბრალებდნენ კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ საქმიანობას, ქმრის თანამოაზრედ და თანამონაწილედ თვლიდნენ. დაპატიმრების შემდეგ, 24 დეკემბერს, ნინო ღარიბაშვილი საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატობიდან გარიცხა. ამჟამად ნინო იოსების ასული ღარიბაშვილი და მისი ქმარი ანდრო მიხეილის ძე შავიშვილი რეაბილიტირებული არიან დანაშაულის არარსებობის გამო.

1937 წლის 15 დეკემბერს დააპატიმრეს და 10 წლით რუსეთის ფედერაციაში, ციმბირში გადაასახლეს ზერა სულეიმანის ასული ქადიძე-თავდგირიძე. იგი დაბადებულია 1887 წელს ბათუმის რაიონის სოფელ ურეხში. ქალბატონი ზერა ოსმან ხუსეინის ძე თავდგირიძის მეუღლე იყო. ზერა თავდგირიძის დაპატიმრებისა და გადასახლებისთვის გამოყენებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-12 მუხლი, რაც ნიშნავდა განუცხადებლობას. საქმე ის არის, რომ 1937 წელს დააპატიმრეს ქალბატონ ზერას ქმარი ოსმან თავდგირიძე, რომელიც მაშინ აჭარის სახელმწიფო ბანკის განყოფილების გამგის მოადგილედ მუშაობდა. სამი თვე გაატარა საპატიმროში იუსუფ შაჰის ძე ბოლქვაძის მეუღლე ხატიჯე ხიმშიაშვილმა. ქმრის დაპატიმრების შემდეგ მათი ქონების კონფისკაცია მოახდინეს. ხატიჯე ხიმშიაშვილმა დიდი წვალებით გაზარდა შვილები და 1965 წელს გარდაიცვალა (ავთანდილ ნუგზარის ძე ბოლქვაძის ინფორმაცია, ჩავიწერეთ 2017 წლის 13 თებერვალს).

გოგოლა ბარნაბის ასული უჯმაჯურიძე სარეწაო კავშირის არტელ „ეკონომიკის“ თავმჯდომარე ვლადიმერ ირაკლის ძე გოგიბერიძის მეუღლე იყო. ვლადიმერ გოგიბერიძე კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტობის ბრალდებით 1937 წლის 17 სექტემბერს დახვრიტეს. ამასთან, დააპატიმრეს მისი ცოლი გოგოლა უჯმაჯურიძე, რომელიც დამნაშავედ შერაცხეს იმის გამო, რომ არ ამხილა ქმრის „კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული“ საქმიანობა. ამ ცრუ ბრალდებით გოგოლა უჯმაჯურიძე საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1938 წლის 23 აპრილის დადგენილებით, 8 წლით გადაასახლეს რუსეთის ფედერაციის უკაცრიელ მხარეში, სადაც უმძიმეს პირობებში გაატარა პატიმრობის წლები. სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდა ბათუმში, მაგრამ... დაუძლურებული და ღონემიხდილი. გოგოლა უჯმაჯურიძე რეაბილიტაციამდე დამამცირებელ პირობებში იმყოფებოდა. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წლის 31 აგვისტოს დადგენილებით, გოგოლა ბარნაბის ასული უჯმაჯურიძე რეაბილიტირებულია, როგორც უდანაშაულოდ დასჯილი.

ოთარ თურმანიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „აჭარა“ №№4, 5, 6, 7.

ოჯახები მატერიალურ დახმარებას მიიღებენ

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2008 წლის რუსული აგრესიისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიის (2007-2021 წწ) დროს დაღუპული და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში, დედათა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მატერიალური დახმარება გაეწევა დაღუპული/მიღებული დაზიანებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სამხედრო მოსამსახურის დედებსა და მეუღლეებს, თითოეულს 5 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1000 ლარისა. სულ 39 ბენეფიციარს. აგვისტოში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 32 მეომრის ოჯახს - თითოეულს - 10 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 3000 ლარისა.

„გაიზარდა უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის ბიუჯეტი და გაფართოვდა მოსარგებლეთა წრე. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ 300 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დასაქმებულ პირებს“ - ნათქვამია აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადებაში.

რამდენად უსაფრთხოა გასახლომი ჩაი და როგორ შევარჩიოთ იგი სწორად?

მე-5 გვერდიდან

მკურნალობა დავუნიშნო, იქნება ეს გასტრიტის, წყლულოვანი დაავადების თუ გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის შემთხვევაში. შემუშავებული მაქვს ჩემი დიეტები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში პაციენტისთვის დასაშვებია და თუ მას დაიცავს, წონაშიც დაიკლებს. როგორც აღვნიშნე, ზოგიერთი ჩაი ჭარბი რაოდენობით საფაღარათო საშუალებას შეიცავს. ამით პაციენტები ფიქრობენ, რომ უფრო ადრე დაიკლებენ წონაში, არადა, პირიქით, კუჭ-ნაწლავს იღიზიანებენ. რამდენიმე შემთხვევა მქონდა, როცა მსგავსი ჩაისგან პაციენტს კოლიტი, ასევე, სწორი ნაწლავიდან სისხლდენა განუვითარდა. გახშირებული კუჭის მოქმედების გამო, პაციენტს შეიძლება ბუასილიც გაუმწვავდეს. ასე რომ, არ არის რეკომენდებული ჩაის თვითნებურად შერჩევა. ჯობს, ამისთვის ექიმს მიმართონ.

- მსუბუქი და სრულიად უსაფრთხო გახდომის მეთოდი თუ არსებობს?

- ჩემი რჩევაა, თუ კუჭ-ნაწლავი არ აწუხებს ადამიანს, მიიღოს ბოსტნეული, ძალიან კარგია ცილოვანი დიეტაც, უნდა გამოირიცხოს ცომეული, ტკბილეული. აუცილებელია დაიცვას კვების რეჟიმი - დილით ისაუზმოს და საუზმე უნდა შეიცავდეს უფრო მეტ კალორიას, ვიდრე სადილი ან ვახშამი. დილით, როცა სამსახურში მივდივართ, ენერგია გვჭირდება მუშაობისთვის, თავის ტვინის მეტაბოლური თვისებების გასაუმჯობესებლად კი საკვებია აუცილებელი. საუზმისას, კალორიებს როცა ვიღებთ, მას დღის განმავლობაში გავხარჯავთ. შესაბამისად, წონაზე ეს არ აისახება. თუკი დილით არ ვჭამთ და მხოლოდ ყავას მივირთმევთ, შუადღეზე სწრაფი კვების პროდუქტებით ვიკვებებით და, ძირითადად, საღამოს მივირთმევთ ნოყიერად, ანუ საღამოს 6 ან 8 საათის შემდეგ, მიღებული საჭმელი და კალორიები საზიანოდ გვემატება. ეს წონაზეც აისახება, რადგან მალევე ვიძინებთ. პაციენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ დაბალანსებული კვების რეჟიმი აუცილებელია. ასევე, უნდა ვიცოდეთ, რომ დღეში, მინიმუმ სამჯერ, მაინც ვიკვებოთ.

საქმე №01-10/163

დადგენილება

საარბიტრაჟო საქმეზე 01-10/163, საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის სხდომაზე მოპასუხის საჯაროდ მოწვევის შესახებ

ქ. ბათუმი 20 თებერვალი, 2024 წელი

შპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ (ს.კ. 445384959) არბიტრმა არმაზ ძირკვაძემ, მოდავე მხარეთა შორის 2018 წლის 13 აპრილის „გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება №HEAD.0000982.001“-ში (მუხ. 13.1), 2018 წლის 13 აპრილის „იპოთეკის ხელშეკრულება №HEAD.0000982.001/01“-ში (მუხ. 7.1.), 2018 წლის 17 აპრილის „იპოთეკის ხელშეკრულება №HEAD.0000982.001/03“-ში (მუხ. 7.1.) 2018 წლის 13 აპრილის „სოლიდარული ვალდებულების შესახებ ხელშეკრულება №HEAD.0000982.001/03“-ში (მუხ. 7.1.), ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმების საფუძველზე, ერთპიროვნულად განვიხილე კერძოსამართლებრივი ხასიათის ქონებრივ დავაზე **„საარბიტრაჟო საქმეზე 01-10/163, საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის სხდომაზე მოპასუხეს საჯაროდ მოწვევის შესახებ“** დადგენილების მიღების საკითხი.

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „PIAZZA CAPITAL“-ი, ს/კ 445425763, დირექტორი სულხან ჯორთმენაძე (პ/ნ 61001014228), წარმომადგენელი: ირაკლი კანდელაკი (პ/ნ 61001021842), თანახმად მინდობილობისა ვადით 31.12.2025 წ.

საარბიტრაჟო მოპასუხეები: მსესხებელი, შპს „აღმაშენებელი“, ს/კ: 445530738, დირექტორი: მამუკა კვაჭანტირაძე (პ/ნ 61003008629).

იპოთეკის საგნის მესაკუთრე: ინგა ყიფიანი (პ/ნ: 61004046009).

სოლიდარულად ვალდებული პირი: ფ/პ: დავით ჯიხვაშვილი (პ.ნ. 61003000443),

წარმომადგენელი: ფიქრია მახარაძე (პ/ნ: 01026005540).

საგანი: ფულად-საკრედიტო ურთიერთობიდან გამომდინარე თანხების გადახდის სოლიდარულად დაკისრება მსესხებელზე, სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია და საარბიტრაჟო მოსაკრებლის მსესხებლებზე გადახდის დაკისრება.

გამოვარკვიე:

2022 წლის 26 აგვისტოს შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „PIAZZA CAPITAL“-ი, (ს/კ 445425763) (დირექტორი - სულხან ჯორთმენაძე) წარმომადგენელმა ირაკლი კანდელაკმა (პ/ნ 61001021842), შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“ შემოიტანა საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხეების: მსესხებლის შპს „აღმაშენებელი“, ს/კ: 445530738, დირექტორი: მამუკა კვაჭანტირაძე (პ/ნ 61003008629), იპოთეკის საგნის მესაკუთრე: ინგა ყიფიანი (პ/ნ: 61004046009) და სოლიდარულად ვალდებული პირი: ფ/პ: დავით ჯიხვაშვილი (პ.ნ. 61003000443) მიმართ და მოითხოვა, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავალიანების და, ასევე, საარბიტრაჟო მოსაკრებლის მოპასუხეებზე სოლიდარულად გადახდის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2022 წლის 26 აგვისტოს შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ არბიტრმა არმაზ ძირკვაძემ მიიღო დადგენილება „საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების და არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შესახებ“. გაეგზავნა დაზღვეული საფოსტო გზავნილით და ჩაბარდა მოპასუხეს, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, წერილობითი შესაგებელის წარმოდგენის ვადის და საარბიტრაჟო დავის განხილვის მოსამზადებელი სხდომის დროის და ადგილის მითითებით.

2. 2024 წლის 08 იანვარს საარბიტრაჟო მოსარჩელეს წარმომადგენელმა ირაკლი კანდელაკმა არბიტრაჟს მომართა განცხადებით, არბიტრაჟს მიეღო დადგენილება **საარბიტრაჟო საქმეზე 01-10/163, საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის სხდომაზე მოპასუხის საჯაროდ მოწვევის შესახებ, რაც დაკმაყოფილდა არბიტრაჟის მიერ.**

ვიხელმძღვანელე რა **„არბიტრაჟის შესახებ“** საქართველოს კანონის **მე-8; მე-16; 27-ე; 32-ე მუხლებით** და მუდმივმოქმედი **„არბიტრაჟის დებულების“ მე-13 მუხლის 1 და 6 პუნქტებით;**

დავადგინე:

1. სამოქალაქო საქმეზე, №01-10/163, საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეები, მსესხებლის შპს „აღმაშენებელი“, ს/კ: 445530738, დირექტორი: მამუკა კვაჭანტირაძე (პ/ნ 61003008629), იპოთეკის საგნის მესაკუთრე: ინგა ყიფიანი (პ/ნ: 61004046009) და სოლიდარულად ვალდებული პირი: ფ/პ: დავით ჯიხვაშვილი (პ.ნ. 61003000443) საჯაროდ მოწვეული იქნას არბიტრაჟში, საქმის არსებით განხილვის სხომაზე დასასწრებად, 2024 წლის 15 მარტს, 12:00 საათზე, ქ. ბათუმი, ახმედ მელაშვილის ქ. №26, მე-3 სართული. საკ. ტელ: 577 78 19 77;

2. საჯარო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „აჭარაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით;

3. არბიტრაჟის დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ არბიტრი
არმაზ ძირკვაძე

საქმე №01-10/164

დადგენილება

საარბიტრაჟო საქმეზე 01-10/164, საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის სხდომაზე მოპასუხის საჯაროდ მოწვევის შესახებ

ქ. ბათუმი 20 თებერვალი, 2024 წელი

შპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ (ს.კ. 445384959) არბიტრმა არმაზ ძირკვაძემ, მოდავე მხარეთა შორის 2018 წლის 22 ნოემბრის „გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება №HEAD.0000904.004“-ის (მუხ. 13.1.), 2018 წლის 22 ნოემბრის „იპოთეკის ხელშეკრულება №HEAD.0000904.004/01“-ის (მუხ. 7.1), 2018 წლის 22 ნოემბრის „იპოთეკის ხელშეკრულება №HEAD.0000904.004/02“-ის (მუხ. 7.1.), 2018 წლის 22 ნოემბრის „იპოთეკის ხელშეკრულება №HEAD.0000904.004/03“-ის (მუხ. 7.1.), 2019 წლის 06 ივნისის „იპოთეკის ხელშეკრულება №HEAD.0000904.004/05. ხელშეკრულებებში არსებული საარბიტრაჟო დათქმების საფუძველზე, ერთპიროვნულად განვიხილე კერძოსამართლებრივი ხასიათის ქონებრივ დავაზე **„საარბიტრაჟო საქმეზე 01-10/164, საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის სხდომაზე მოპასუხეს საჯაროდ მოწვევის შესახებ“** დადგენილების მიღების საკითხი.

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „PIAZZA CAPITAL“-ი, ს/კ 445425763, დირექტორი - სულხან ჯორთმენაძე (პ/ნ 61001014228), წარმომადგენელი: ირაკლი კანდელაკი (პ/ნ 61001021842), თანახმად მინდობილობისა ვადით 31.12.2025 წ.

საარბიტრაჟო მოპასუხეები: მსესხებელი, შპს „ჯი-კონსტრუქციონი“, ს/კ: 445503624, დირექტორი, იგივე იპოთეკის საგნის მესაკუთრე: დავით ჯიხვაშვილი (პ/ნ: 61003000443).

წარმომადგენელი: ფიქრია მახარაძე (პ/ნ: 01026005540), მინდობილობა გაცემული ვადით.

იპოთეკის საგნის მესაკუთრე: ინგა ყიფიანი (პ/ნ: 61004046009).

საგანი: ფულად-საკრედიტო ურთიერთობიდან გამომდინარე, თანხების გადახდის სოლიდარულად დაკისრება მსესხებელზე, სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია და საარბიტრაჟო მოსაკრებლის მსესხებლებზე გადახდის დაკისრება.

გამოვარკვიე:

2022 წლის 26 აგვისტოს შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „PIAZZA CAPITAL“-ი, (ს/კ 445425763) (დირექტორი - სულხან ჯორთმენაძე) წარმომადგენელმა ირაკლი კანდელაკმა (პ/ნ 61001021842), შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“ შემოიტანა საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხეების: მსესხებლის შპს „ჯი-კონსტრუქციონი“, ს/კ: 445503624, დირექტორი, იგივე იპოთეკის საგნის მესაკუთრე: დავით ჯიხვაშვილის (პ/ნ: 61003000443) იპოთეკის საგნის მესაკუთრე: ინგა ყიფიანის (პ/ნ: 61004046009) მიმართ და მოითხოვა, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავალიანების და, ასევე, საარბიტრაჟო მოსაკრებლის მოპასუხეებზე სოლიდარულად გადახდის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2022 წლის 26 აგვისტოს შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ არბიტრმა არმაზ ძირკვაძემ მიიღო დადგენილება „საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების და არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შესახებ“. გაეგზავნა დაზღვეული საფოსტო გზავნილით და ჩაბარდა მოპასუხეს, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, წერილობითი შესაგებელის წარმოდგენის ვადის და საარბიტრაჟო დავის განხილვის მოსამზადებელი სხდომის დროის და ადგილის მითითებით.

2. 2024 წლის 08 იანვარს, საარბიტრაჟო მოსარჩელეს წარმომადგენელმა ირაკლი კანდელაკმა არბიტრაჟს მომართა განცხადებით, არბიტრაჟს მიეღო დადგენილება **საარბიტრაჟო საქმეზე 01-10/164, საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის სხდომაზე მოპასუხის საჯაროდ მოწვევის შესახებ, რაც დაკმაყოფილდა არბიტრაჟის მიერ.**

ვიხელმძღვანელე რა **„არბიტრაჟის შესახებ“** საქართველოს კანონის **მე-8; მე-16; 27-ე; 32-ე მუხლებით** და მუდმივმოქმედი **„არბიტრაჟის დებულების“ მე-13 მუხლის 1 და 6 პუნქტებით;**

დავადგინე:

1. სამოქალაქო საქმეზე, №01-10/164, საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეები, მსესხებლის შპს „ჯი-კონსტრუქციონი“, ს/კ: 445503624, დირექტორი, იგივე იპოთეკის საგნის მესაკუთრე: დავით ჯიხვაშვილი (პ/ნ: 61003000443) იპოთეკის საგნის მესაკუთრე: ინგა ყიფიანი (პ/ნ: 61004046009) საჯაროდ მოწვეული იქნას არბიტრაჟში, საქმის არსებით განხილვის სხომაზე დასასწრებად, 2024 წლის 15 მარტს, 15:00 საათზე, ქ. ბათუმი, ახმედ მელაშვილის ქ. №26, მე-3 სართული. საკ. ტელ: 577 78 19 77;

2. საჯარო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „აჭარაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით;

3. არბიტრაჟის დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ არბიტრი
არმაზ ძირკვაძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 29/02/24, 18 ⁰⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

როინ აბუსელიძე: მთავარი ლექსი და სათქმელი წინ მაქვს...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ბათუმელი პოეტი როინ აბუსელიძე საქართველოში აღიარებული და პოპულარულია. მისი მალალმხატვრული პოეზია არაერთი ლიტერატურული ფესტივალის გამარჯვებულია, ჯილდო და პრემიები კი პასუხისმგებლობასა და მოტივაციას უძლიერებს...

მისმა ახალმა ლექსებმა პოეზიის მოყვარულთა გულები დაიპყრო. რაც ყველაზე გასახარია, ახალგაზრდობას მოსწონს, უყვარს ისინი, კითხულობენ ლიტერატურულ საღამოებზე... პოეტი აქტიური მოქალაქე, თავისი ქალაქის, ქვეყნის გულშემატკივარი, სიტყვითა და საქმით ერთგულია. უფრო უკეთ კი როინ აბუსელიძეს ამ ინტერვიუთი გაიცნობთ.

- თქვენ რომ კორესპონდენტი იყოთ, პირველად რას ჰკითხავდით როინ აბუსელიძეს?

- როდემდე?

- ვის ფესვებზე ხართ ამოზრდილი?

- ჩემი ფესვები შუახევიდან, უჩამბიდან მოდის, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში დავიბადე, ყოველთვის, როცა ჩემს მამაპაპისეულ ადგილას მიწევს ყოფნა, მგონია, რომ იქ გავატარე ბავშვობა, იმდენად ჩემია და ძვირფასი. ეს ხომ ის ადგილია, სადაც - „მოხუცი მამა, მოხუცი მამა სასხლავით ხელში დადის ვენახში“. აღარც მამაა, აღარც პაპა, თუმცა მათი ნაკვალევი მკაფიოდ ატყვია იქაურობას.

- პოპულარული პოეტი ხართ, ამ აღიარებისადმი თქვენი დამოკიდებულება?

- თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ არ დამიმსახურებია, მიუხედავად იმისა, რომ სასიამოვნოა. ჩემი აზრით, მთავარი ლექსი და სათქმელი ჯერ არ მითქვამს, თუმცა ჩემი მკითხველისადმი უზომო მადლიერებას გამოვხატავ - ისინი მასულდგმულებენ, მამხნევებენ და მაცოცხლებენ.

- „მე მქვია ბათუმი“ - ამ ერთობლივი კრებულის სამყაროში მოგზაურობისას მკითხველს როგორ დააკვალიანებდით?

- დიდი ხნის განმავლობაში ახალგაზრდა პოეტებს გვეძახდნენ. ამ კრებულის წაკითხვის შემდეგ, ალბათ, „ახალგაზრდები“ აღარ გვერქმევა, სრულიად განსხვავებული წიგნია, დაღვინებული, ნაფიქრალი.

- როცა სიტუაციას ჭვრეტთ, რომელს ანიჭებთ უპირატესობას - გულს თუ გონებას?

- ჩემს შემთხვევაში, გულისა და გონების ომი მარადიულია. მიუხედავად იმისა, რომ გონება გაცილებით სწორად მსჯელობს, ხშირ შემთხვევაში, გული მაინც იმარჯვებს.

- თქვენი აზრით, სულის სინათლე როდის იწყებს ნათებას?

- არ არსებობს მუდმივი სინათლე, პირიქით, არსებობს წყვდიადი და არის რამდენიმეწამიანი ნათება, რომლის გამოც ღირს ცხოვრება. ამ ნათების მოლოდინია ერთი დიდი გზა, ფაქტობრივად, შუქი - გვირაბის ბოლოს, მაგრამ ეს გვირაბი საკმაოდ დიდია. ალბათ, ასეც უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში ადამიანი უმოქმედო იქნებოდა, ეს ნათებები კი წერის პროცესია, ლექსის ამოყვანის პროცესი, სრულდება ლექსი და იწყება ახალი გვირაბი.

- როგორ შეგცვალოთ სასიკეთოდ ჩვენი ცხოვრება, თავი ბედნიერად რომ ვიგრძნოთ?

- ამ შეკითხვაზე მინდა ძალიან პრაქტიკული პასუხი გაგცეთ - ფიზიკური ვარჯიში ბედნიერების მთავარი გასაღებია. მეტი მოძრაობა, მოგზაურობა, აქტიურობა კვებავს სულს.

- როცა გეკითხებიან, როგორ ხართ, რას განიცდით და პასუხობთ?

- გააჩნია, ვინ მეკითხება და ვისზე რანაირად იმოქმედებს პასუხი. ალბათ, ადამიანებს ვარგებ ჩემს ყოფას, თუმც, ყველა შემთხვევაში, ჩემი პასუხები არის მათთვის სასიამოვნო და მისაღები.

- საკუთარ თავს როგორ ექცევით, რა დროს უთმობთ?

- ძალიან ცვალებადი ხასიათი მაქვს, საკმაოდ არამყარი. აი, პირველ კითხვაზე რა პასუხიც გაგეცით, ფაქტობრივად, აქ ამ შეკითხვასთან გადაიკვეთა. დღე ჩემთვის სხვა განზომილებაა და ღამე - სხვა, ღამით როინ აბუსელიძე ვარ.

- ხშირად გესმით ფრაზა: „შენ ყველას უყვარხარ“. რას განიცდით ამ დროს?

- არ მიფიქრია ამაზე, უბრალოდ, სასიამოვნო მოსასმენია და, ასევე, პასუხისმგებლობისკენაც გიბიძგებს.

- რა აზრის ხართ თანამედროვე ლიტერატურულ ფესტივალებზე და კონკურსებზე და რომელს გამოარჩევთ?

- მივესალმები, რაც მეტი იქნება - მით უკეთესი. ჩემი საყვარელი ლიტერატურული კონკურსია „ლექსების გამოფენა“, ფესტივალებიდან გამოვარჩევ „ზე-კართან“, ასევე, მინდა მკითხველს ვუთხრა, რომ შარშან საფუძველი ჩაეყარა ბათუმის ლიტერატურულ ფესტივალ „შემოდგომის სერენადას“, რომლის ორგანიზატორიც გახლავართ. ფესტივალები და კონკურსები ხელს უწყობს თანამედროვე ავტორების ერთმანეთთან დაახლოებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

- ციფრულ სამყაროში შევაბიჯეთ. თქვენ და თქვენი კოლეგები - ახალ რეალობაში?

- ზოგს ჰგონია, მწერალს, პოეტს უნდა უჭირდეს, რაღაც ღირებული რომ შექმნას. ეს ასე არ არის, ჩვენ სხვის გაჭირვებაზეც შეგვიძლია დავწეროთ და ისე განვიცადოთ, როგორც საკუთარი. შესაბამისად, ტექნოლოგიური წინსვლა მხოლოდ ყოფაზე მოქმედებს და ისეთ ბრწყინვალე აბსტრაქციზმზე, როგორიც პოეზიაა, დიდ ცვლილებას ვერ ახდენს.

- წიგნი და მწერალი, რომელიც თქვენი მუდმივი თანამგზავრია და მეგობარი...

- რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსანი“.

- როგორი მოქალაქე ხართ და, საერთოდ, როგორ ფიქრობთ, რატომ პასიურობენ ჩვენი მოქალაქეები? რას ურჩევთ მათ?

- ვფიქრობ, კარგი მოქალაქე ვარ, საკმაოდ აქტიურიც. საერთო სურათს რაც შეეხება, ის სენი ჯერ კიდევ განუკურნელია, რომელიც საკუთარ ცუდად ყოფნაზე გადის მხოლოდ. ერთმანეთის ტკივილის გათავისება გვიჭირს, რაც პასიურობას იწვევს, ამიტომ ვიყოთ მოწყალენი და ყურადღებიანნი ერთმანეთის მიმართ.

- თქვენ და ბათუმი... ქალაქის აწმყოსა და მომავალს როგორ ხედავთ?

- ბათუმი ის ქალაქია, პაწაწინა კეთილ საქმეს თუ გაუკეთებ, ასმაგად რომ გიბრუნებს. ამის მიუხედავად, მე ძველი ბათუმი უფრო მომწონს ვიზუალურად - იტალიური ეზოებითა და პატარა სახლებით და არა - ბეტონის ციხე, რომელიც უფრო და უფრო სულის შემხუთავი ხდება. ამიტომ ძალიან მტკივა გული ამ ქალაქის მომავალზე. სამწუხაროდ, ეს ის ბათუმი ვეღარასოდეს იქნება.

ბათუმელი სპორტული მოცეკვავეების წარმატება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

თბილისში სამეჯლისო სპორტულ ცეკვებში ჩემპიონატი ჩატარდა „გიორგი რიყამაძის თასზე“ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში. ბათუმიდან მასში საცეკვაო სტუდია „ნიკეს“ მოცეკვავეებმა მიიღეს მონაწილეობა და საპრიზო ადგილებიც მოიპოვეს

ჩვენი სტუმარია სტუდია „ნიკეს“ ხელმძღვანელი ***ნიკე კეშელავა.***

- კონკურსზე გვიამბეთ - რამდენი მონაწილე გყავდათ და რა პრიზები ჩამოიტანეთ?

- „გიორგი რიყამაძის თასზე“ ჩატარებულ ასპარეზობაში სამეჯლისო სპორტული ცეკვების შემსრულებლები მთელი საქართველოდან მონაწილეობდნენ. ჩვენი ბავშვები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში გამოდიოდნენ და ზოგი - ორ, ზოგი - სამ და ზოგი ხუთ ცეკვასაც კი ასრულებდა. 14 - პირველი, 10 - მეორე და 5 მესამე ადგილი დავიკავეთ. სულ ჩვენი სტუდიიდან 18 ბავშვი მონაწილეობდა, მათგან ზოგიერთი - რამდენიმე კატეგორიაში. ერთმა სამ კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულები გახდნენ ნუცა ართმელაძე, ემილი დუმბაძე, ნია გვიჩიანი, ანრი მგზავრიძე, ლიზა გოგუაძე, ლილე ჩართოლანი, ლილიანა ფუტკარაძე, ელენე გამილაღდიშვილი და მარიამ კონცელიძე.

- რამდენი წელია, რაც თქვენი სტუდია არსებობს და კონკურსებში როდიდან მონაწილეობთ?

- 2016 წლამდე სხვა სტუდიაში ვასწავლიდი, „ნიკე“ კი ოფიციალურად 2016 წლიდან გავხსენით და მას შემდეგ აქტიურად ვმოღვაწეობთ. უცხოეთში გამართულ სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსშიც ვმონაწილეობდით და იქიდანაც წარმატებებით ვბრუნდებოდით.

- რა ასაკის ბავშვებს ასწავლით?

- მიღება გვაქვს 5 წლიდან. მოცეკვავეები ფესტივალებზე სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიად იყოფიან: 5-დან 7 წლამდე, 8-დან 11-მდე, 12-დან 15-მდე და ზევით, ანუ მოზარდებიც გვყავს. ასევე, გვაქვს სამოყვარულო ჯგუფები, სადაც დედებიც დადიან და სამეჯლისო ცეკვებს სწავლობენ. ამჟამად 8 მშობელი გვყავს, პერიოდულად გვემატებიან. სხვათა შორის, არის ქვეჯგუფები, სადაც მოყვარულები ცეკვავენ, „სინიორების“ კატეგორია ჰქვია.

- რამდენად რთულია პატარებთან მუშაობა და როგორი მიდგომაა საჭირო, რომ ბავშვი ბოლომდე გაიხსნას?

- ხშირად ბავშვი თავის ემოციებს ვერ გამოხატავს, კომპლექსი აქვს. რა თქმა უნდა, ასეთ დროს მათთან ინდივიდუალური მუშაობაა საჭირო. რაც უფრო ხშირად გადიან შეჯიბრებებზე, მით უფრო იხსნებიან შემდგომ. არის ისეც, რომ ბავშვი წინასწარ ეგუება დამარცხებას, ასე ვთქვათ, აპროგრამებს თავის თავს. ხშირად ვესაუბრებით, რომ სხვა მიდგომა გამოიმუშაონ, მეტად თავდაჯერებულები გახდნენ. შეჯიბრებამდე ვუხსნით, როგორ უნდა მოიქცნენ, როგორი განწყობით იცეკვონ. დარბაზში შეიძლება უკეთ აკეთებდნენ მოძრაობებს, კონკურსზე კი სხვა გარემოში ხვდებიან, ნერვიულობენ და, ამ ყველაფრის ფონზე, იბოჭებიან. არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებიც ვარჯიშზე დიდად არ ცდილობენ კარგად ცეკვას, შეჯიბრებაზე კი იხსნებიან და მაქსიმუმს აკეთებენ, ამიტომ, ყველას თავისებური მიდგომა სჭირდება.

- ინდივიდუალურ შემსრულებლებთან ერთად, წყვილებიც გყავთ?

- დიახ. გვყავს სოლო შემსრულებლებიც და წყვილებიც, თუმცა ვისურვებდი, რომ ბევრად მეტი ვაჟი გვყავდეს. რატომღაც ბათუმში სამეჯლისო ცეკვებზე ნაკლებად შემოჰყავთ მშობლებს ვაჟები. არადა, კარგი იქნება, თუ მეტი ვაჟი ჩაერთვება ცეკვებში, რადგან ძალიან ნიჭიერი გოგონები გვყავს. მათ რომ კარგი მეწყვილეები ჰყავდეთ, უფრო მეტ წარმატებას მივაღწევდით. სამეჯლისო სპორტული ცეკვა, ზოგადად, წყვილში ცეკვას მოიაზრებს. სწორედ ვაჟების ნაკლებობის გამო შეიქმნა სოლო შემსრულებლების კატეგორია.

- თქვენი აზრით, სად არის პრობლემა - მშობლებს არ მოჰყავთ თუ თავად ვაჟებს არ სურთ ცეკვა?

- ალბათ, უფრო მენტალიტეტშია პრობლემა. საზოგადოებაში რატომღაც ჩამოყალიბებულია აზრი, თითქოს სამეჯლისო ცეკვები არ არის ბიჭის საქმე, თითქოს ქალური მანერები უვითარდებათ და ასე შემდეგ. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ამ ცეკვებით ბიჭი გოგოსთან ურთიერთობას სწავლობს, უყალიბდება სწორი დგომა, ქცევა... წყვილში წამყვანი სწორედ ვაჟია, გოგომას, უბრალოდ, უნდა გაჰყვეს. ცეკვის ამოცანაც იმაშია, რომ ბიჭმა მისცეს გოგოს მიმართულება. როგორც ოჯახში მამაკაცია საყრდენი კედელი, ცეკვებშიც ასევეა. ბიჭი პატარაობიდანვე ეჩვევა, რომ იყოს ჯენტლმენი.

- რას ურჩევთ დამწყებ მოცეკვავეებს?

- ყველაზე მთავარი დაუზარელი შრომა და ვარჯიშია. სიზარმაცემ არ უნდა გძლიოს, უნდა გიყვარდეს ეს საქმე და მაქსიმალურად დაიხარჯო. არიან ბავშვები, რომლებსაც ცეკვის ნიჭი ბუნებრივად აქვთ, არიან ისეთებიც, ვისაც ნიჭი ნაკლებად შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ დაუღალავი შრომით უფრო მეტს მიაღწიოს, ვიდრე ნიჭიერმა. ბევრი შემთხვევა მქონია ასეთი.

- თქვენს გეგმებზე რას გვეტყვით?

- 10 მარტს საჩხერეში - „იმერეთის თასზე“ იმართება ასპარეზობა. ჯერჯერობით, ზუსტად არ ვიცი, ჩვენგან რამდენი ბავშვი მიიღებს მონაწილეობას, ეს მათ სურვილზეა დამოკიდებული. ვაცხადებთ, რომ არის შეჯიბრება და მოცეკვავეებიც ერთვებიან.